


**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია**



**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური
პრობლემები**

თ ე ზ ი ს ე ბ ი

**თბილისი
23-24 აპრილი
2021**

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

რეგლამენტი:

მოსვენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

მარინა ალექსიძე, ლაურა გურული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განმეორების როგორც სინტაქსურ-სტილისტური ხერხის ფუნქციონირება თანამედროვე სამეცნიერო პროზაში

განმეორება არ არის რომელიმე ფუნქციური სტილის მარკირებუ-
ლი ელემენტი. ამ ხერხის სპეციფიკა ამა თუ იმ ფუნქციურ-სამეტყველო
სახეობაში მის მიერ შესრულებული ფუნქციის განსხვავებულობაა.
განმეორება სამეცნიერო მეტყველებაში კომუნიკაციური ამოცანის გა-
მოხატვის არსებითი ელემენტია და მისი გამოყენება გამოწვეულია აქ-
ტუალიზაციის, ამა თუ იმ ცნების ან მოვლენის ხაზგასმის აუცილებლო-
ბით მკითხველის ყურადღების აქტივიზაციისა და მისთვის მეცნიერუ-
ლი აზრის ათვისების გაადვილების მიზნით.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ვხდებით სხვადას-
ხვაგვარ ლექსიკურ განმეორებებს, რომელთა შორის ყველაზე გავრცე-
ლებულია ერთგვაროვანი ლექსიკური ერთეულების დისტანციური გან-
მეორება ერთი წინადადების ფარგლებში. ამ კონსტრუქციების ტრან-
სფორმირება მთელი გამონათქვამის შინაარსის დაზიანების გარეშე ძნე-
ლად მისაღწევია, ვინაიდან მეცნიერული აზრის სიზუსტის აუცილებ-
ლობა შეუძლებელს ხდის განმეორებული სიტყვების შეცვლას სინონი-
მებით.

განმეორება არის მრავალფუნქციური საშუალება, რომლის პოტენ-
ციური შესაძლებლობები არ შეიძლება შემოიფარგლოს რომელიმე ერ-
თი ფუნქციით. ხშირ შემთხვევაში განმეორება ასრულებს აგრეთვე წი-
ნადადების ნაწილების გაერთიანების ფუნქციას და ხელს უწყობს წი-
ნადადების გავრცელებას. გარდა წმინდა ლოგიკური ფუნქციისა, განმე-
ორებას სამეცნიერო პროზაში შეუძლია შეასრულოს ექსპრესიულ-და-
მაზუსტებელი და ექსპრესიულ-ემფატური ფუნქცია.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა ფართოდ იყენებს სხვა-
დასხვა სახის განმეორებას. შესწავლილმა მასალამ მოგვცა შესაძლებლო-
ბა, გამოგვეყო აგრეთვე სინტაქსური განმეორებებიც, რომელთა გამოყენე-
ბას ეფუძნება სინტაქსური პარალელიზმის სტილისტური ხერხი. ძირითა-
დად, ეს ხერხი ასრულებს გამონათქვამის ლოგიკური ნაწილის გამოყო-
ფის ფუნქციას და იხმარება ცალკეული ფაქტების განზოგადების მიზ-

ნით მოცემული დებულებების დასამტკიცებლად და აზრის მოკლედ და მკაფიოდ გადმოცემისათვის. გავრცობილი სინტაქსური პარალელიზმი (ლექსიკურ განმეორებებთან ერთად) ფართოდ არის წარმოდგენილი სამეცნიერო მეტყველებაში როგორც ტექსტის გამაერთიანებელი საშუალება, კერძოდ, ისეთი მსხვილი კომპოზიციური ერთეულების გაერთიანებისათვის, როგორც არის აბზაცი. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა არასრული (ნაწილობრივი) განმეორება, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სამეცნიერო მეტყველების სპეციფიკას. რთული და გართულებული სინტაქსური კონსტრუქციები მოკლებულია ერთგვაროვანი აგებულების შესაძლებლობას.

სამეცნიერო პროზაში განმეორება გამოიყენება კვლევის საგნის თვისებების აღწერისათვის და მას აქვს ფართო გავრცელება სამეცნიერო სტილის ყველა ჟანრის ნაირსახეობაში. ყველაზე ხშირად კი ეს სტილისტური ხერხი ახასიათებს სასწავლო სახელმძღვანელოს ჟანრს.

ფატმან ანთაძე-მალაშხია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპარსულ შედგენილ ზმნათა შეთვისებისათვის ქართულში

ზოგიერთ შემთხვევაში სპარსული შედგენილი ზმნის ძირითადი სახეობა (პირველადი ნაწილი+მარტივი/პრეფიქსული ზმნა) ქართულში პარალელური ფორმებით ადაპტირდება – ჰიპერკალკირებული შედგენილი ზმნისა და ნასახელარი ზმნის სახით. შედგენილი ზმნის სახელადი ნაწილი ჰიპერკალკირებისას გადმოდის უთარგმნელად, ხოლო ნასახელარ ზმნას ედება ფუძედ (იხ. **zäng gereftän**-იდან მიღებული ჰიპერკალკი „**ჟანგის** მოკიდება:**ჟანგი** მოეკიდა“ და „**დაჟანგვა**:**დაიჟანგა**“).

მაკომპონირებული ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა გარკვეულწილად განსაზღვრავს სპარსული შედგენილი ზმნის ამა თუ იმ ფორმით შეთვისებას ქართულში. თუ რიგი მაკომპონირებული ზმნებისა (მაგალითად, **gereftän** „აღება, მოკიდება,“ **didän** „ნახვა,“ **kāšidän** „(გა)წევა“) ქართულში სესხებისას უშვებს ფორმათა პარალელიზმს ჰიპერკალკისა და ნასახელარი ზმნის სახით, მოქმედებითობა/ვნებითობით დაპირისპირებულ ფართო ვალენტობის **kärdän** „ქმნა:ქნა, გადაქცევა:გადააქცია,

გახდომა:გახადა“ და šodän „ქმნა:იქმნა, გადაქცევა:გადაიქცა, გახდო-
მა:გახდა“ ზმნათა მაკომპონირებული სტატუსი განაპირობებს სპარსულ
შედგენილ ზმნათა საბოლოო შეთვისებას ქართულში ნასახელარი
ზმნის ფორმით. სესხების პირველ ეტაპზე kändän-ისა და šodän-ის
შემცველი ზმნები ქართულში გადმოტანილია პარალელური ფორმებით
– ჰიპერკალკირებული შედგენილი ზმნითა და ნასახელარი ზმნით. ამას
მოწმობს შუა საუკუნეების ნათარგმნ ძეგლებში დადასტურებული მაგა-
ლითები, იხ. zäbun šodän>„ძაბუნი იქმნების“ და „დაძაბუნდა.“

ზოგიერთ შემთხვევაში სპარსული შედგენილი ზმნები ქართულში
სტრუქტურულ-სემანტიკურ ჰიპერკალკებად გადმოდის (იხ. **zäng gere-**
ftän>„ჭანგის მოკიდება:ჭანგი მოეკიდა“), თუმცა ხშირად მხოლოდ
სტრუქტურული ჰიპერკალკირება ვლინდება, მნიშვნელობა კი შეცვლი-
ლია (იხ. **xeir didän „გახარება:გაიხარა.“>ხეირის ნახვა** და მისი ნასა-
ხელარი პარალელი **იხეირა „სარგებლის, გამორჩენის ნახვა:სარგებე-
ლი, გამორჩენა ნახა“**).

ქართულში სესხებისას ზოგჯერ იცვლება სპარსულ შედგენილ ზმნა-
თა სტილისტური რეესტრი, კერძოდ, სტილისტურად ნეიტრალური ზმნა
ქართულში კოლოკვიალიზმად გადმოდის (**delxori dāštän 1.„სწყინს,“**
2.„ნალვლობს, სწუხს“>დილიხორი აქვს, „სურვილი, ჟინი აქვს“).

ომარ არდაშელია, ლია ახალაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის გამორჩეული მკვლევარი

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის კვლე-
ვას დიდმა ივ. ჭავჭავიძელმა ჩაუყარა მეცნიერული საფუძველი. მას მე-
რე არაერთ მკვლევარი დაინტერესდა ქართული დიპლომატიისა და სა-
ერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის თემატიკით, მაგრამ ამ დარ-
გში ივ. ჭავჭავიძელის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი პირველი გამ-
გრძელებელი, განვითარების ინოვაციური მიმართულებების ფუძემდე-
ბელი და გზის გამკვალავი იყო პროფესორი ილია ტაბაღუა, რომელსაც
მიმდინარე წლის მარტში, დაბადებიდან 102 წელი შეუსრულდა.

მორიდებული, წყნარი, უპრეტენზიო და მუდამ კეთილგანწყობილი ადამიანის უკან მრავალწლიანი დიპლომატიური საქმიანობით გამორჩეული პიროვნება იდგა, რომელსაც საკითხის ფართო სამეცნიერო ცოდნასთან ერთად დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის დამთავრების შემდეგ ილია ტაბაღუა წლების განმავლობაში მუშაობდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში ევროპის ქვეყნებში. ევროპაში მუშაობის წლები ილია ტაბაღუამ ეფექტურად გამოიყენა ქართული დიპლომატიისა და საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი, პირველხარისხოვანი წყაროების გამოსავლენად. მეცნიერის არქივში ნახავდით ევროპის სხვადასხვა საარქივო ფონდებში მოძიებულ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მასალას, როგორც გვიანი შუა საუკუნეების, ასევე ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესახებ.

ილია ტაბაღუას სამეცნიერო მოღვაწეობის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია მრავალფეროვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. მის სამეცნიერო მემკვიდრეობაში კვლევისა და საქმიანობის რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: I. ევროპის საარქივო ფონდებში არსებული მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალის პუბლიკაცია, რომელშიც ასახულია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქართული დიპლომატიის ამსახველი დოკუმენტური მასალების თარგმანი, კომენტარები და საძიებლები; II. გამოკვლევები ქართული დიპლომატიისა და საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესახებ; III. ქართული დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ინსტიტუციური განვითარების საფუძვლების ჩამოყალიბება ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაციის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის გამოცემების დაარსებით;

ილია ტაბაღუამ ევროპის საარქივო ფონდებში არსებული მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალის პუბლიკაცია რამდენჯერმე განახორციელა, მაგრამ დღემდე ამ დარგში სამაგიდო წიგნად რჩება მისი სამტომეული: საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (I - 1984, II - 1986, III - 1987); ევროპაში მოპოვებული დოკუმენტური მასა-

ლების გამოქვეყნება მეცნიერმა მომდევნო წლებშიც აქტიურად გააგრძელა.

ქართული დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლის პროცესში ილია ტაბალუას ზოგიერთი გამოკვლევა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომად უნდა ჩაითვალოს. მან სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი თემების შემოტანით დარგში კვლევის საინტერესო მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. ამ სახის ნაშრომებს მიეკუთვნება „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს.-ის მინურული - XIX ს.-ის დასაწყისი)“ (1974), „საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან“ (1974), „მონტრეს კონვენციის შესახებ“ (1953), „საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში : ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“ (1979), „მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის“ (1982), „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში“ (1996) და სხვ.

თვალსაჩინოა ილია ტაბალუას დამსახურება საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქართული დიპლომატიის ინსტიტუციური შესწავლის გაფართოების საკითხში. დარგის განვითარებაზე უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ილია ტაბალუას თაოსნობით 1991 წლის 5 აპრილს დაარსებულმა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელმა ასოციაციამ, 1993 წლის 12 მარტს დაარსებულმა საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და სამეცნიერო გამოცემებმა „საქართველო: ევროპა - ამერიკა“, „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“ და ჟურნალმა „საქართველო“. აღნიშნულ ინსტიტუციებში ილია ტაბალუამ შემოიკრიბა საკითხით დაინტერესებულ ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი დასი, რომელთა დიდი ნაწილის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი, რეკომენდატორი ან, უბრალოდ, დამკვალიანებელი იყო.

ილია ტაბალუამ თავისი ნაშრომებით საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქართული დიპლომატიის ისტორიას მდიდარი წყაროთმცდნეობით საფუძველი შეუქმნა, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დარგის განვითარების ისტორიაში.

რუსუდან ასათიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიშნის პრობლემა თანამედროვე სოციუმში

ენობრივი ნიშნის ფორმირება სოსიურის თეორიაში წარმოდგენილია ფსიქიკურ-ფიზიოლოგიური დინამიკური პროცესის სახით: 1. **შეგრძნების ორგანოების** გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება ფიზიოლოგიური ინფორმაცია; 2. ეს ფიზიოლოგიური ინფორმაცია გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას (resp. ტვინს), სადაც ერთიანი **აღქმის** საფუძველზე გარდაიქმნება ფსიქიკურ ინფორმაციად და ფორმირდება **წარმოდგენა**; 3. წარმოდგენების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე, მსგავსება-განსხვავებულობების დაფიქსირებით ხორციელდება წარმოდგენებისათვის მთავარი, სხვა საგნებისაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისებების აბსტრაქტირება: ნიველირდება ყოველი არარელევანტური კონკრეტული ნიშან-თვისება და რჩება მხოლოდ საერთო. ასე ფორმირდება კონკრეტული წარმოდგენებისგან აბსტრაქტირებული **ცნება, კონცეპტი**; 5. ეს კონცეპტები, კვლავ ფსიქიკური პროცესების შედეგად, სტრუქტურირდება **კატეგორიების** იერარქიული სისტემის სახით; 6. ამგვარად ორგანიზებულ კონცეპტებს მონიშნავს აბსტრაქტირებულ ბგერათა (resp. ფონემათა) „შერჩეული-შეთანხმებული“ მიმდევრობა და 7. იქმნება **ნიშანი**, რომელიც ენაში ფუნქციონირებას იწყებს **სოციალიზაციის** შედეგად.

დღეს, ტექნოლოგიების (მედია, ინტერნეტი, სოციალური ქსელები) განვითარების შედეგად თანამედროვე სოციუმში იქმნება ქაოსური მდგომარეობა: შეგრძნების ორგანოებისადმი გაჩენილი „უნდობლობისა და სკეფსისის“ პირობებში (*ახ გვჯეხა იმის, ხაც გვესმის; უკვე გვაეჭვებს ისიც, ხასაც ვხედავთ; ვიცით, ხომ შესაძლებელია სუნებით და გემოებით მანიპულაცია*), სოციუმის გარკვეულ ფენებს თავსმოხვეული ინტერპრეტაციები საფრთხეს უქმნის ნიშნის ზოგად საკომუნიკაციო ფუნქციას. სოციუმის გარკვეული ჯგუფებით შემოფარგლული, ლამის ინდივიდებამდე დაყვანილი საკომუნიკაციო სივრცე, განსაზღვრული სპეციფიკური აღქმებით, ნაწევრდება ვინრო, ე.წ. „ვირტუალურ“, სივრცეებად, სადაც ნიშანი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება და განსხვავებულ „სამყაროებს“ ქმნის.

ენა ამ ქაოსისგან თავის დაღწევას ცდილობს და ენის ნომინაციური ფუნქციის შესანარჩუნებლად აყალიბებს გარკვეულ დისკურსულ მარკერებს. მოხსენებისას გაანალიზებული იქნება ახალგაზრდების (და უკვე არა მხოლოდ) მეტყველებაში დაფიქსირებულ ე.წ. tag ტიპის ფრაზული გამონათქვამი *ოღონდ მაჩთდა*, რომელსაც, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს თავის პირდაპირი მნიშვნელობა და ქცეულია დისკურსის ფუნქციონალურ ელემენტად – *ნუ მოახდენ ინფოხმაციის ინგეჰ-პეტიციებს, გაიგე ენის ნიშნების საეხთო, საზოგადო მნიშვნელობით!*

მიხეილ ბახტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1918-1921 წლების სამხედრო მოქმედებები

1918 წლის იანვრის ბოლოს ოსმალეთი მესამე არმიამ შეტევა განაახლა. კავკასიის არმიის დარჩენილმა ნაწილებმა, ქართულმა და სომხურმა ეროვნულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს. მარტში უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ ფრონტზე შექმნილი ვითარების გამო სწავლა არ შეწყდება, მაგრამ მოხალისეებს უფლება ექნებათ, ფრონტზე წავიდნენ (ამ დროს უნივერსიტეტში 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი სწავლობდა).

1919 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ომის საჭიროებისათვის გადარიცხეს 1145 მანეთი.

1920 წლის აპრილის ბოლოს საქართველოში აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრა სცადეს მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა უნივერსიტეტის სტუდენტი, მოხალისე სერგო თვარაძე.

1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. 16 თებერვალს წითელი ხიდიდან შემოიჭრა მე-11 არმიის ძირითადი ძალა. იმავე დღეს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიმართა ხელისუფლებას და აცნობა, რომ უნივერსიტეტის „პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი,

მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფი ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს ... უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

საყოველთაოდ ცნობილია სიტყვა, რომლითაც ივანე ჯავახიშვილმა მიმართა უნივერსიტეტის ეზოში მყოფ სტუდენტებს და სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდა. ყველამ იცის ასევე მარო მაყაშვილის ისტორია, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი, რომ ამ ომში დაიღუპნენ ფრონტზე მოხალისედ წასული სტუდენტები: პავლე ბეშკენაძე, ნიკოლოზ კალანდარიშვილი, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ნაკაშიძე და კოტე კვიციანიძე.

უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის თავდაცვაში და, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ინფორმაცია ამის შესახებ წარმოდგენილი იქნება თუნდაც პირველ კორპუსში არსებულ პირველი რესპუბლიკის სახელობის 214-ე აუდიტორიაში.

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასთან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მიმართების ერთი ასპექტი

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „შინდისის ჭადრებს“ 1925 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“. ნაწარმოები დაბეჭდილია პოეტის თხზულებათა თითქმის ყველა გამოცემაში. ლექსი ნათარგმნია არაერთ ევროპულ ენაზე, ამჟამად იგი შეტანილია სასკოლო პროგრამაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი პოპულარულია და კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ცოტამ თუ იცის, რომ ამ ნაწარმოებს შთაგონების კონკრეტული წყარო აქვს, რომელზეც თავად გალაკტიონი მიგვითითებს. „ვეფხისტყაოსნის“ ნიქობური ხელნაწერისადმი მიძღვნილ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს: „შინდისში იყო ერთი პოეტი ქალი – ნინო ყარაგოზიშვილი (წამიკითხავს მისი მშვენიერი ლექსი – „შინდისის ჭადრებს“)“.

პოეტი ნინო ყარაგოზიშვილი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა და მცირეტანიანი პოეტური კრებულები გამოუცია 1880 წელს. ამ წიგნში წარმოდგენილი ლექსები რომანტიკული განწყობილებებითაა აღბეჭდილი, მათ შორის - ლექსი „შინდისის ჭადრებს“, რომელსაც გალაკტიონის ყურადღება მიუპყრია. როგორც ჩანს, გალაკტიონის მგრძნობიარე სული მოხიბლა პოეტი ქალის გაცდათა სინრფელემ და უშუალობამ, ბავშვობის მოგონებათა რომანტიზებამ, მშობლიური გარემოსადმი ფაქიზმა მიმართებამ, წყვილი ჭადრის მარჯვედ მიგნებულმა პოეტურმა ხატმა. ამ ყოველივემ შემოქმედებითი ბიძგი მისცა დიდ პოეტს, რომელმაც ნოსტალგიის მოტივი საკუთარ ლექსში მხატვრული განსახიერების მწვერვალზე აიყვანა.

„შინდისის ჭადრებს“ გალაკტიონის სიმბოლისტური პოეტური ხელნერისათვის დამახასიათებელი „ბნელი სტილისაგან“ გამოირჩევა სისადავით, ლექსი თავისუფალია რთული სახეობრივი აზროვნებისაგან, ზოგიერთი ტაეპი კი აშკარად ამჟღავნებს სიახლოვეს მე-19 საუკუნის ტრადიციულ პოეტურ ლექსიკასთან. თუ ნინო ყარაგოზიშვილის ლექსში სათქმელი გაშლილია, გაშიშვლებულია, გალაკტიონთან იგი შეფარულია და მისთვის ჩვეული მინიშნების პოეტიკითაა გადმოცემული.

საბა ბუგიანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კერამიკული წარმოების სტანდარტები გრაკლიან გორაზე

გრაკლიანი გორის ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს ცენტრალურ ამიერკავკასიაში, საქართველოში, კასპის რაიონის სოფ. იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურის მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე, უშუალოდ თბილისიდან აკიდლესელიძის გზატკეცილთან. ძეგლი მრავალფენიანია, აქ გამოვლენილია არქეოლოგიური მასალა პალეოლითიდან დაწყებული, გვიან ანტიკური ხანის ჩათვლით. ყველაზე ინტენსიურად წარმოდგენილია დროის ორი მონაკვეთი, ესენია: გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანა (დაახლოებით ძვ.წ. XIII-IX სს.) და აქემენიდური პერიოდი (ძვ.წ. V-IV სს.).

კვლევაში წარმოდგენილია გრაკლიან გორაზე არსებული კერამიკული წარმოების სტანდარტების დადგენის მცდელობა ზემოთ ხსენებულ ორ პერიოდში. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია როგორც ნამოსახლარის, ასევე სამაროვნის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკული მასალა, კერძოდ ის ერთეულები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მთლიანი სახით არის შემორჩენილი და ჭურჭლის მოცულობის დადგენის საშუალებას იძლევა. სწორედ მოცულობაა აღებული მთავარ საკვლევ ობიექტად, ვინაიდან მოცულობის დადგენილი ერთეულების არსებობა საზოგადოებაში უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს და მისი განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

მოცულობასთან ერთად განსაზღვრულია თითოეული ჭურჭლის სხვა მეტრული მახასიათებლებიც. განხილულია მათი მორფოლოგიური მახასიათებლები, რის მიხედვითაც გამოყოფილია გარკვეული ჯგუფები; აგრეთვე მოცემულია ზოგადი სტატისტიკური მონაცემები. არის მცდელობა გარკვეული კანონზომიერების დადგენისა.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, არსებობდა თუ არა დროის მოცემულ მონაკვეთებში გრაკლიან გორაზე კერამიკული წარმოების განსაზღვრული სტანდარტები და რა კავშირშია ამ ორი პერიოდის სტანდარტი ერთმანეთთან; ასევე, ავლენენ თუ არა ისინი საერთო ნიშნებს მეზობელ რეგიონებში დამკვიდრებულ სტანდარტებთან. ეს ყველაფერი დაგვეხმარება, დავინახოთ, განვითარების რამდენად მაღალ საფეხურზე იდგა გრაკლიანი გორისა და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ პერიოდში.

თემის აქტუალურობას განსაზღვრავს ფაქტი, რომ მსგავსი მიმართულებით კვლევა ქართულ არქეოლოგიაში არ ჩატარებულა, რის გამოც აღნიშნულ პერიოდებში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან მიმართებით არსებული ბევრი საკითხი დღემდე შეუსწავლელი რჩება.

ელენე გოგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორი და ლინგვისტიკა

ფოლკლორისტიკა მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად გულისხმობს მისი შემქმნელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების ვერბალური ასპექტების კვლევას. მითები, ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები თუ მხატვრული გამონაგონის სხვა ნიმუშები ზეპირი გზით ვრცელდება და დაკავშირებულია ყოველი ხმოვანი კომუნიკაციის ენობრივ სპეციფიკასთან. ფოლკლორული ჟანრები ლინგვისტიკის კვლევის არეალშიც შედის. პირველი ფოლკლორისტები მე-19 საუკუნის უმნიშვნელოვანესი ენათმეცნიერები იყვნენ: იაკობ გრიმი, მაქს მიულერი, თეოდორ ბენფეი, ვილჰელმ შმიდტი და სხვები. საქართველოში ფოლკლორისტიკისა და ლინგვისტიკის საკითხების ინტერდისციპლინური კვლევა აკაკი შანიძის, ალექსანდრე ღლონტისა და ალექსი ჭინჭარაულის სახელებს უკავშირდება. დღევანდელ დღეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა ფოლკლორისტიკისა და ლინგვისტიკის თანამშრომლობა. ზეპირსიტყვიერება დამწერლობასთან კონტაქტის გარეშე უკვე აღარ არსებობს. შესაბამისად, მას შეუძლია ორგვარი სახით ფუნქციონირება: 1) „ტრადიციული“ ზეპირსიტყვიერება, როცა ზეპირი თხრობა იმეორებს კანონიკურ ფოლკლორულ ტექსტს და 2) ზეპირსიტყვიერება, რომელიც ხელახლა იქმნება თანამედროვე წიგნიერ საზოგადოებაში.

ზეპირი თხრობა ითხოვს მინიმუმ ორ სუბიექტს: მოლაპარაკესა და მსმენელს, რომლებსაც, ერთმანეთის ენის გარდა, ესმით ერთმანეთის სულიერი ღირებულებებიც. ინდივიდუალური ხმა არის საზოგადოებრივიც, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მოიაზრებს ადამიანი თავის თავს სამყაროში. ფოლკლორის ლინგვისტურ კონტექსტში შესწავლა მხოლოდ ცოცხალ მეტყველებასა და პერფორმანსზე დაკვირვებას კი არ გულისხმობს, არამედ უნივერსალური სტრუქტურების დადგენასა და მათზე დაქვემდებარებული პროცესების ანალიზს.

დღეს ფოლკლორის მნიშვნელობა გაფართოვდა და სოციოლოგიურ პერსპექტივაში აღქმულია როგორც კომუნიკაციის პროცესი, რისთვისაც ლინგვისტიკის გამოცდილება მეტად მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, ლინგვისტიკისთვის ფოლკლორისტიკის მეთოდების საჭიროება

იჩენს თავს, როცა საქმე სამეტყველო ენის კონტექსტში შესწავლას ეხება და საჭიროა ამ კონტექსტის ინტერპრეტაცია რწმენა-წარმოდგენებისა და შესრულების ტრადიციის გათვალისწინებით.

ნათია გოგიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ქალის ტვირთი“ – მხატვრული ანალიზი

„ქალის ტვირთი“ მიხეილ ჯავახიშვილის უკანასკნელი რომანია. იგი მწერალმა 1936 წელს შექმნა. მიხეილ ჯავახიშვილის 335-გვერდიან რომანში უამრავი საინტერესო ეპიზოდი და პერსონაჟია. რომანი ისტორიულია, გამოირჩევა მწერლის სტილითა და თხრობის მანერით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რომანს ლიტერატურის კრიტიკოსები არ მიაკუთვნებენ მიხეილ ჯავახიშვილის საუკეთესო თხზულებათა რიცხვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ დავუკვირდებით, „ქალის ტვირთი“ ღრმა ფსიქოლოგიური პროზაა. რომანის სიუჟეტური ქარგა, პერიპეტეები, მოულოდნელობის ეფექტი პერსონაჟთა ქმედებაში, და ბოლოს, მთავარი გმირის, ქეთევანის დილემა რომანს სრულიად ორიგინალურ თხზულებად წარმოაჩენს.

რომანი ახალგაზრდა ქეთევან ახატნელის ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობს, რომელიც თავად-აზნაურთა კლასიდან წარმომავლობის მიუხედავად, იდეურად პროლეტარიატს ემხრობა, თუმცა, საბოლოოდ, იქ მისი ადგილი არ აღმოჩნდება. ახატნელების ოჯახის წგრევა 1905 წლის რევოლუციის ფონზე ვითარდება. რომანში პერსონაჟებად ისტორიული პიროვნებები არიან გამოყვანილი და მოხსენიებული, ნახსენებია ასევე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე.

მხატვრული მიგნებით, თხრობით, სიუჟეტის მძაფრი განვითარებით, ცხოვრებისეული სიმართლით და მწერლისთვის დამახასიათებელი ღრმა ფსიქოლოგიზმით რომანი მრავალფეროვანი ლიტერატურული დაკვირვების საგანი შეიძლება გახდეს. მაგალითად მწერალმა რომანს „ქალის ტვირთი“ უწოდა, საინტერესოა, საიდან გაჩნდა დასათაუ-

რების ამგვარი ვერსია, რას გულისხმობს მწერალი „ქალის ტვირთში“, რა ვერ ზიდა ქალმა. ცხადია, მწერლის მიერ შერჩეული სათაური მხოლოდ რევოლუციის ტვირთის ზიდვას არ გულისხმობდა.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ რომანის მხატვრული მხარე, წარმოვაჩინოთ პერსონაჟთა დახასიათება და გავაანალიზოთ ამ შემთხვევაში ქალის მდგომარეობა და როლი რომანის მიხედვით და ასევე ქალის მხატვრული სახის შედარება მოვახდინოთ მწერლის სხვა ნაწარმოებებთან.

თეა გოგოლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუა საუკუნეების ყოველდღიურობის კვლევის მეთოდოლოგია

ყოველდღიურობის ისტორია, მიკროისტორიის ერთ-ერთი დარგია. დღევანდელ დღეს ჩვენთვის მეტად საინტერესო გახდა იმის გაგება და შესწავლა, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი წარსულში, როგორი ყოველდღიურობა ჰქონდათ მათ, რამდენად მსგავსი ან განსხვავებული იყო მათი ყოველდღიური ცხოვრება ჩვენი ცხოვრებისაგან. მეცნიერებს დიდი ძალისხმევა ესაჭიროებათ, რათა შეისწავლონ და გაიგონ მათი ყოფა-ცხოვრება. ყოველდღიურობის ისტორიას მეორენაირად შეგვიძლია „ხალხის ისტორიაც“ ვუწოდოთ. მისი შესწავლისას ყურადღებას ვამახვილებთ არა მარტო კონკრეტულად პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე (როგორებიცაა: პოლიტიკა, რელიგია, ეკონომიკა, ბრძოლები, მეფეებისა და არისტოკრატების ცხოვრება, რასაც, ძირითადად, პოზიტივისტები შეისწავლიდნენ), არამედ უშუალოდ, უბრალო ხალხის ცხოვრებაზე, იმ პერიოდის ტრადიციებზე, რწმენებზე, ჩვევებზე, როგორ ესმოდათ ესა თუ ის საკითხი შუა საუკუნეებში, რა ეცვათ, რას ფიქრობდნენ, რას გრძნობდნენ, რას ჭამდნენ, რისი ეშინოდათ, რისი სწამდათ, მოხუცების, ქალების, ბავშვების როლი საზოგადოებაში და ასე შემდეგ.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე ხშირად ვხვდებით ყოველდღიურობის ისტორიის მკვლევრების მიერ სხვადასხვა დარგის გამოყენებას კვლევის პროცესში. მაგალითად, მენტალიტეტის კვლევებმა დიდი დახმარება გაუწიეს მედიევისტებს. აქ კი არ იქნება მართებული,

აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ ანაღთა სკოლის დიდი წვლილი ამ საკითხის შესწავლაში. როგორც მოგვეხსენება, ანაღების სკოლის კვლევის მეთოდები ძირფესვიანად განსხვავდებოდა მანამდე გაბატონებული საისტორიო სკოლების მეთოდებისგან. ასე მაგალითად, პოზიტივისტებთან (ლეოპოლდ ფონ რანკე, შარლ ლანგლუა, შარლ სენიობოსი) თუ ფაქტის კულტი იყო, ანაღების სკოლის მეცნიერები (მარკ ბლოკი, ლუსიენ ფევრი, მოგვიანებით ფერნან ბროდელი, ჟაკ ლე გოფი, დიუბი და სხვანი) უკვე განსხვავებულად ფიქრობდნენ. საკითხისადმი ანაღებისეული ინტერდისციპლინური მიდგომა გადამწყვეტ როლს ასრულებს ყოველდღიურობის ისტორიის კვლევაში. ამ მეთოდის მიხედვით, რამდენიმე დისციპლინის გამოყენებით ჩვენ ვახდენთ ჩვენთვის საინტერესო დარგის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შესწავლას. ჩვენ ვიყენებთ: ისტორიულ გეოგრაფიას, სოციალურ ისტორიას, ფსიქოლოგიას, მენტალიტეტის კვლევებს, მსოფლმხედველობას, სტატისტიკურ მონაცემებს, ისტორიულ დემოგრაფიას, ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას და სხვ. მედიევისტები ყოველდღიური ისტორიის კვლევა-ძიების დროს იყენებენ: ლიტერატურას, ფილოლოგიას, ხელოვნების ისტორიას, არქეოლოგიას, ეპიგრაფიკას, კოდიკოლოგიას, ფსიქოლოგიას და ბევრ ისეთ დარგებსაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება, გამოუსადეგარი გვეჩვენოს, თუმცა ეს ასე არ არის, მაგალითად, ასტრონომია. ზოგ შემთხვევაში ინტერდისციპლინური კვლევები ისეთ ინფორმაციას გვანვდის, რომელსაც ანაღოგი არ მოეპოვება. იმისთვის, რომ გამოიკვლიონ, მედიევისტები იყენებენ არაერთ წყაროს, ტექსტურ თუ მატერიალურ კულტურას. მათ შორისაა: სასამართლო ოქმები, ანდერძები, არქეოლოგიური არტეფაქტები, ქრონიკები, ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები, წარწერები, კედლის ნახატები, მინიატურები და ხელნაწერები, ხელნაწერი წიგნები, არქიტექტურა, ლიტერატურა, სავაჭრო დავთრები, ფინანსური დოკუმენტები, თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრაქტატები, საქალაქო და სასოფლო აღწერები, მემამულეების ჩანაწერები, წესები და კანონები, ეკლესია-მონასტრების ჩანაწერები, წერილები, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ნაშრომები.

საბოლოო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურობის ისტორიის კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და მისი მეთოდების გააზრება და შესწავლა მნიშვნელოვნად გააადვილებს კვლევის პროცესს.

ნანა გონჯილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სათაურის გააზრებისათვის აგიოგრაფიაში

ნაშრომში გამოწვლილვითაა განხილული V-XI სს-ების ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებების (კიმენური და მეტაფრასული რედაქციების) სათაურები; გამოკვეთილია „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ ჟანრების ნაწარმოებთა დასათაურების სპეციფიკა, ტერმინოლოგია, მსგავსება-განსხვავებანი, რა არის მათი ძირითადი მახასიათებელი, რა ინფორმაციის მატარებელია, როგორაა ორიენტირებული მკითხველსა თუ მსმენელზე, იცვლება თუ არა ეპოქათა მიხედვით მათი შინაარსი და ა.შ. განხილული მასალის საფუძველზე წარმოჩენილი და, შეძლებისდაგვარად, გამოკვეთილია სათაურების დანიშნულება და ფუნქცია ძველი ქართული მწერლობის აღნიშნულ პერიოდში. როგორც ცნობილია, აგიოგრაფიულ თხზულებათა სათაურები, უპირველეს ყოვლისა, ჟანრს განსაზღვრავს, თუმცა განსხვავება ერთი და იმავე ჟანრის თხზულებათა სათაურების წყობასა და შინაარსშიც წარმოჩნდება. თხზულებების სათაურებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ არსებობს ვრცელი, ინფორმაციულად (შედარებით) ტევადი და მოკლე, ლაკონიური სახელწოდებები. მკითხველი თხზულების, „წამება“ იქნება თუ „ცხოვრება“, სათაურიდან იგებს მთავარი გმირის ან გმირთა სახელს, შესაძლოა, მის წარმომავლობას, ეროვნებას, სამოღვაწეო თუ სამკვიდრო სივრცეს, ზოგ შემთხვევაში - მტანჯველის ვინაობას, მის მრწამსს. სათაურების ერთ ნაწილში სახელდება ავტორი და თხზულების მომგებელი. მკითხველს ამგვარი დეტალებითა და ნიუანსებით თხზულებაში აღწერილ ეპოქაზეც (ზოგადად მაინც) ექმნება წარმოდგენა. ამდენად, სათაური მკითხველზეა ორიენტირებული და, იმავდროულად, მკითხველ-მსმენლის ორიენტირია თხზულების თემისა და იდეის წვდომისათვის.

დავით გოცირიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანის თეორია და კორპუსული ტრანსლატოლოგია

თარგმანმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაგროვილი ემპირიული მასალის სისტემატი-

ზაციასა და თეორიულ განზოგადებას, რაც მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას მოითხოვს.

მეთოდოლოგიურ მიდგომათა შორის, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამგვარი ბაზის შექმნას, ჩვენ ავირჩიეთ კორპუსული მიდგომა. არჩევანი განაპირობა თარგმნილი ტექსტების ერთიან სისტემურ პარადიგმაში გაერთიანების აუცილებლობამ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ცალკეული ტექსტები თარგმანის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის, თარგმანის მეთოდოლოგიის, თარგმანის ისტორიისა და წყაროების, კულტურათშორისი კომუნიკაციის პრიზმაში განვიხილოთ.

კორპუსული მიდგომა ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ქართველ მთარგმნელთა ერთიანი კატალოგის შექმნას. ამ სფეროში არსებული ინფორმაციული ქაოსის პირობებში, როდესაც, ხშირ შემთხვევაში, მთარგმნელის სახელი იგნორირებულია, შეუძლებელია ვისაუბროთ თარგმან-მცოდნეობის განვითარების ამა თუ იმ ტენდენციაზე, ვინაიდან თითოეული მთარგმნელი განსაკუთრებული ინდივიდია, რომელიც დეტერმინებულია აპერცეფციული ბაზით, სოციოკულტურული ფაქტორებით, შიდა-კულტურული აქსიოლოგიითა და სხვ.

ტრანსლატოლოგიური კორპუსის შექმნისას საჭიროა გამოვიყენოთ ტექსტის ტიპოლოგიის მონაცემები და მასალა მის შესაბამისად დავალაგოთ. კორპუსის მონაცემები შეიძლება საფუძვლად დაედოს თარგმანის ენციკლოპედიის შექმნას, რომელიც ასახავს უცხოური მთარგმნელობითი სკოლების მიღწევებს და წარმოაჩენს ქართულ მთარგმნელობით სკოლას.

ზურაბ გოცირიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტერეოტიპები და ეთნოენობრივი ცნობიერება

თანამედროვე საქართველოს გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ჩართვა განაპირობებს პარტნიორი ქვეყნების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნას, რაც, ხშირ შემთხვევაში, სტერეოტიპულ წარმოდგენებს ეფუძნება. სტერეოტიპებად შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც სხვა ხალხის დახასიათებები, ასევე ყველაფერი, რაც ეხება ერთი ერის წარმოდგენებს მეორე ერის კულტურაზე მთლიანობაში: საერთო

კონცეპტები, სამეტყველო ურთიერთობის ნორმები, კატეგორიები, აზროვნებითი კატეგორიები, ცრურწმენები, მორალური და ეთიკური ნორმები, ტრადიციები, ჩვეულებები და ა.შ.

კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში, როდესაც ხდება ეთნოკულტურათა ინტერაქცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებათა სისტემების თავსებადობის პრობლემას. ყველა კულტურას აქვს გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადამუშავებისა და აღქმის ინდივიდუალური გამოცდილება, განსაკუთრებული უნარი, რომლის საფუძველზეც მის ცნობიერებაში იქმნება ეგრეთ წოდებული „სამყაროს ხატი“, რომელიც თავის თავში მოიცავს ობიექტურ (ინვარიანტულ) ნაწილს და ინდივიდუუმის მიერ სინამდვილის სუბიექტურ შეფასებას.

სტერეოტიპს ჩვენ განვიხილავთ როგორც ეთნოენობრივი ცნობიერების გამოვლინების ფორმას, კულტურით დეტერმინებულ წარმოდგენას სამყაროზე, რომელიც ყალიბდება კულტურული გარემოს გავლენით მენტალური ხატისა და ვერბალური გარსის სიმბიოზით. სტერეოტიპი ურთიერთობის (ქცევის) პროცესი და შედეგია, რომელიც არაენობრივ რეალობას ენობრივ დონეზე წარმოაჩენს.

ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რემინისცენციები „მუხრანულის“ თემაზე

ლიტერატურული გავლენის პროცესი საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტია და ალბათ მით უფრო მნიშვნელოვანია ძირეული ნაწარმოები, რამდენადაც ის ხდება სხვათა მიერ შეგნებით თუ უნებლიეთ გამოყენებული და მკითხველს ბუნდოვნად კი არ მოაგონებს თავდაპირველ წყაროს, არამედ მისი შთაგონებითაა შექმნილი. ასეთ ნაწარმოებად მიგვაჩნია ქართული ფოლკლორის ნიმუში „მუხრანული“. თავად ფოლკლორში ლექსის საკმაოდ მრავალი ვარიანტი არსებობს: ლაშარის ჯვრის ყმა ქართველი ვაჟკაცი კლავს ყივჩაღს, ორივე კვდება ორთაბრძოლის დროს – ქართველიცა და ყივჩაღიც, ქალი კი მიდის ერთი ვარიანტით – „სხვისასა“, მეორე ვარიანტით – „ძმისასა“.

გიორგი ლეონიძის „ყივჩალის პაემანი“ შეგნებული რემინისცენციაა ხალხური ლექსისა. ავტორს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ციტატა „მუხრანულიდან“: „...ერთი მეც გადავუქნიე, წვერიმც ვუნვდინე მინასა...“ სავარაუდოდ, ეს ხალხური ლექსის ის ვარიანტია, როდესაც ქართველი კლავს ყივჩალს, თუმცა ავტორის მიზანი ისტორიული წარსულის აღდგენა კი არა, სიყვარულის გრძნობის გამოხატვაა მასში ვნებაზე აქცენტის გაკეთებით.

ლაშა გახარიას ლექსი „ვაი, რა ცუდი ყოფილა...“ რემინისცენციაა ხალხური მუხრანულისა, ოღონდ სულ სხვა აქცენტებითა და მთავარი აზრით, რომ ძნელია უცხო მიწის შვილობა, საბოლოოდ დაუფასებლობა; შეუძლებელია „ქართველთან ცოლზე ცილობაც“; მაგრამ სიყვარული ისეთი გრძნობაა, თუ „აგჩინჩხლა, თივისებრ აგაბრიალა“, არც ხობის ხორცი გინდა, არც თავთუხის პური და არც მუხრანის ღვინო; თმის ბუნვიც კი მოგარჩენს, თუნდ „ურჩომიმც გჭირდეს იარა“. ლეონიძის ლექსის მსგავსად, „ვაი, რა ცუდი ყოფილა...“ ყოვჩალის პოზიციიდან დანახული და აღქმული რეალობაა.

თამარ მახარაძის „გოდება“ უპირისპირდება როგორც სახალხო მთქმელის, ასევე ორივე პოეტის პოზიციას და ქალის თვალთ დანახულ ტრაგედიას წარმოადგენს. ქალის ბუნებას, რომ შეიძლება, ქმარი გყავდეს და მაინც თანაუგრძნობდე სხვას, დაიტერო ორივე – ქმარიც და უცხოც, თუკი მასში ვაჟკაცს დაინახავ.

სამივე მხატვრული ნაწარმოების აღქმა შეუძლებელი იქნებოდა ხალხური ლექსის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ავტორის სათქმელი სხვადასხვაა.

ლელა ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ედგარ პოს სიმბოლოების თარგმანში ტრანსფორმაცია ლექსის The Haunted Palace მიხედვით

მე-19 საუკუნის უდიდესი ამერიკელი პოეტი, მწერალი და კრიტიკოსი ედგარ პო ერთ-ერთ ყველაზე მრავალმხრივ ფიგურად წარმოგვიდგება მსოფლიო ლიტერატურაში.

როგორც პროზაიკოსს, მას დიდი წვლილი მიუძღვის სათავგადასავლო, დეტექტიური და საშინელებათა ჟანრების განვითარებაში, ხოლო როგორც რომანტიკოს პოეტს, პოს თავიანთ წინამორბედად აღიარებდნენ სიმბოლისტები. ამერიკელი პოეტი თავდაპირველად ევროპაში უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა, ვიდრე სამშობლოში. მან დიდი გავლენა მოახდინა ა. ბლოკზე, ვ. ბრიუსოვზე და სხვა რუს სიმბოლისტებზეც. ქართველ პოეტთაგან, პოსთან ყველაზე ახლოს გალაკტიონ ტაბიძე დგას.

ედგარ პოს პიროვნებაც და შემოქმედებაც წინააღმდეგობრივობით გამოირჩეოდა. იგი საკუთარ თავში აერთიანებდა სილამაზის ხმატკბილ მგოსანსა და მემამოხე ბაირონულ გმირს, თავის შედევრ „ყორანში“ კი უმშვენიერესი ჟღერადობის შექმნას მათემატიკური გამოთვლებით ხსნიდა. ერთნი მისი „ბგერათა შუქით“ იხილებოდნენ, მეორენი კი შინაარსის ბუნდოვანების გამო „გაურკვევლობის პოეტად“ მოიხსენიებდნენ; ერთნი თაყვანს სცემდნენ, მეორენი კი საზოგადოებისაგან გაუცხოებულ შეშლილ ლოთად წარმოაჩენდნენ.

პომ ადრეული ასაკიდან გამოსცადა ობლობა, სიღარიბე, იმედგაცრუება, საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რამაც ასახვა პოვა მის ნაწარმოებებში. ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ გვხვდება ასე უხვად მის შემოქმედებაში სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოების გვერდით მწუხარების, უსასოობისა და სიკვდილის სიმბოლოები.

სიმბოლოებისა და მათი თარგმანში ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, საანალიზოდ შევარჩიე პოს შედარებით ნაკლებად ცნობილი და შესწავლილი ლექსი-მეტაფორა The Haunted Palace („აჩრდილთ სასახლე“), რომელშიც სასახლე ლირიკული გმირის სიმბოლოა. იგი ადამიანის თავია, სადაც ბრძენი გონება მეფობს, ფანჯრები თვალებია, სახურავზე მოფრიალე ოქროსფერი ალმები - თმა, კარი კი - პირი. სასახლე თავიდან ანგელოზების სამფლობელოდ წარმოგვიდგება, რომლის ორი გაჩახჩახებული ფანჯრიდანაც მოჩანს მეფის გარშემო მოცეკვავე სულები, რომლებიც ხოტბას ასხამენ მას. ლექსის ბოლოს სასახლეში ავი სულები იჭრებიან და მეფეს ღუპავენ. ბოლო სტროფში აღწერილია, თუ როგორ გამოხეთქავს კარიდან ბოროტი ხარხარით ავსულთა ბრბო. მოხსენებაში დედანთან შეპირისპირებით განვიხილავ აღნიშნული ლექსის საკუთარ თარგმანს.

ქეთევან ეფაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1991-1993 წლების სამოქალაქო ომის ასახვა მეხსიერების პოლიტიკაში

როგორ აისახა 1991-1993 წლებში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებები მეხსიერების პოლიტიკაში? პრეზენტაციაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდები, რისთვისაც გავაანალიზებ მეხსიერების არეების შექმნის დინამიკას სხვადასხვა ელიტების მმართველობის პერიოდში და ვაჩვენებ, რომ საკვლევ ობიექტთან დაკავშირებით საზოგადოებაში სოციალური სიჩუმე ჩამოყალიბდა. ეს კონცეფცია, ერთი მხრივ, ირეკლავს რეზონანსის პოტენციალს, რომელიც სამოქალაქო ომისთვის მინიჭებულმა მნიშვნელობამ განაპირობა, მეორე მხრივ კი, ელიტების სტრატეგიას არასასიამოვნო მოვლენის გახსენებასთან დაკავშირებით.

წინააღმდეგობრივი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ჯგუფების დაპირისპირების გამო, სამოქალაქო ომი მოერგო ბაზალეთის ომის ნიმუშს, რის გამოც მან შეიძინა დაბალი რეზონანსის პოტენციალი. კულტურულმა და პოლიტიკურმა ელიტამ კი ამ მოვლენისადმი დუმილის სტრატეგია აირჩია. მეხსიერების პოლიტიკაში გაჩნდა შეზღუდვები, რომლებიც დროთა განმავლობაში შემცირდა, რის მაგალითსაც წარმოადგენს გამსახურდიას ფიგურის რეაბილიტაცია, თუმცა ოფიციალური ნარატივის გადასინჯვა თავად მოვლენასთან დაკავშირებით არ მომხდარა. შინაგანმა წინააღმდეგობამ წარმოშვა უცნაური გარემოება. ოფიციალურ ნარატივს ჯერაც ჰყავს კონტრმეხსიერებები - გამსახურდიას მომხრეთა მეხსიერება და გასამხედროებული ჯგუფების მეხსიერება, რომლებიც პერიოდულად ჩნდება საჯარო სივრცეში. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეხსიერების არეების ნაშლის მცდელობა. შეიძლება ითქვას, ეს მცდელობები შეზღუდვების დარღვევებისა და კონტრმეხსიერებასთან გამკლავების სტრატეგიაა, მაგრამ დამკვიდრებას ვერ ახერხებს და კვლავ პირად სივრცეში გადადის. ამის გამო სამოქალაქო ომთან დაკავშირებით მეხსიერების არეები არ შექმნილა, რამდენიმე გამონაკლისების გარდა.

ეკა ვარდოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხალხური ზეპირსიტყვიერების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მის მოთხრობებში მოქმედება ვითარდება სიყვარულისა და მეგობრობის ფონზე. ბუნება ფონია გმირთა სულიერი სამყაროს გადმოსაცემად. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და ფოლკლორულ მასალას მწერალი იყენებს, რათა უკეთ წარმოაჩინოს მთის ხალხის ადათ-წესები, უტეხი სული, გადმოსცეს მოხევეთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი საწესჩვეულებო სცენები და ძირძველი ტრადიციები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მისი თხზულებები: „ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“, „მოძღვარი“, „ციცკა“, საგმირო ეპოსის ნიმუში „არსენა“.

ფოლკლორულ მასალას იყენებს ყაზბეგი ეთნოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებებშიც. ეთნოგრაფიული ხასიათის წერილში „მოხევეები და იმათი ცხოვრება“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს გამოქვეყნდა და მისი შემოქმედების ერთგვარი საფუძველია, ხშირად ვხვდებით ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. „ნამწყემსარის მოგონებანში“ იგი წერს: „მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით... როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ ამ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები“ (ყაზბეგი). აქ ყაზბეგმა ნათლად განსაზღვრა თავისი ცხოვრების მიზანი და მხატვრულ ქმნილებათა არსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავად კრებდა და ავრცელებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. 1885 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა მის მიერ ჩაწერილი ლექსები, სათაურით „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მოჩხუბარიძისაგან“. 1886 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა „სახალხო ლექსები, მოხევეთა და მოხევის სიმღერები“. ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა შეინიშნება მის ლირიკულ ლექსებშიც.

ვფიქრობთ, ამ კუთხით მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კვლავ ბევრი რამაა შესასწავლი და გასააზრებელი.

ზურაბ თარგამაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ქართული საისტორიო სკოლა: პრაქტიკა და ტენდენციები

საქართველოში ისტორიის მეცნიერული კვლევის დასაწყისად მიიჩნევა XIX საუკუნე, თუმცა პროფესიული სკოლის ფორმირება XX საუკუნესთანაა დაკავშირებული. ადრეულ ეტაპებზე საისტორიო კვლევა აკადემიური დამოუკიდებლობის პირობებში ვითარდებოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგების მსგავსად, ისტორიაც ექცევა, ერთი მხრივ, პოლიტიკური ზენოლის ქვეშ და, მეორე მხრივ, თეორიულ ვაკუუმში. პრაქტიკულად XX საუკუნის ქართული საისტორიო სკოლა არ იცნობდა სხვა თეორიას, გარდა ისტორიული მატერიალიზმისა. თავისთავად ამ კონცეფციას აქვს გარკვეული ამხსნელობითი შესაძლებლობები, მაგრამ ცხადია, არა ამოუწურავი და მით უფრო შეზღუდულ და არათავისუფალ გარემოში.

არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ აკადემიურ პერიოდულ გამოცემებზე დაკვირვების შედეგად, ქართული საისტორიო დისციპლინისა და პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით, იკვეთება საინტერესო ტენდენციები. ჩანს, რომ, მიუხედავად აკადემიური თავისუფლებისა, მკვლევრები პრაქტიკულად არ იყენებენ სხვა სოციოისტორიულ კონცეფციებს, გარდა ემპირიციზმისა და მარქსიზმისა. შესაბამისად, საკვლევ საკითხების შერჩევისა და პრობლემის დასმისას, ძირითადად, აქცენტი კეთდება ტრადიციული თემების გაშუქებაზე. ამასთან, ცხადი ხდება, რომ პროფესიულ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკური და ნაციონალური ნარატივებიც.

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხების გააზრება ზოგადად ხელს შეუწყობს ქართული საისტორიო პრაქტიკის განვითარებასა და საისტორიო დისციპლინის, მეცნიერული და საზოგადოებრივი ფუნქციების გაცნობიერებასა და მათ გამიჯვნას.

ხათუნა თუმანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი არაბული ფრთოსანი გამოთქმის პოეტური ეტიმოლოგიისთვის

ზოგადად, ხალხური ანდაზები, ანდაზური თქმები, გამოცანები და მისთ. აგებულებით, როგორც წესი, ძალზე დახვეწილია და შთამბეჭდავი. ამგვარი ფრთოსანი თქმების გრამატიკული და ფონოლოგიური მოცემულობა, გარკვეულწილად, მისი იდეური შინაარსის ფორმირებაშიც იღებს ქვეცნობიერად მონაწილეობას და აქტუალიზაციისას შთამბეჭდავობის ხარისხზეც აისახება.

მოხსენებაში ერთი არაბული მაგალითის (ფორმალური და სემანტიკური შემადგენლების კომპლექსური გააზრების) საფუძველზე განიხილება, როგორ, რა ზოგადი და, უკვე შემდგომ, საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული ფიგურალურად გამოხატული, საზოგადოდ გამოცდილი და დამკვიდრებული, შეფასება არსებული ენობრივი კოლექტივის სამეტყველო და სააზროვნო სივრცეში.

საანალიზო მასალად არაბული ფოლკლორიდან აღებულია კარგად გართმული, მწყობრად ორგანიზებული მაგალითი. მისი რიტმული აგებულების საფუძველს, უმეტესწილად, სართიმო სეგმენტებთან ერთად, გარკვეული პარალელური კონსტრუქციების, ე.წ. გამეორებადი „გრამატიკული ფიგურის“ და „ბგერითი ფიგურის“ (ჭ. ჰოპკინსი) თანაარსებობა ქმნის. გაანალიზებულია ის კომბინირებული მექანიზმი, რომლის სინქრონული ამუშავებითაც მიიღწევა კონკრეტული ანდაზის ფორმალური და შინაარსობრივი მთლიანობა.

პარალელიზმის გარკვეულ სახეობათა (ეკვივალენტური გრამატიკული კონსტრუქციების და რეგულარულად გამეორებადი ფონოლოგიური წყობისა და სხვ.) დადგენით, ერთი მხრივ, განისაზღვრა კონკრეტული ანდაზის რიტმიზების გამომწვევი ფაქტორები, და, მეორე მხრივ, გამოვლინდა ამ ფორმალური შემადგენლების მატერიალიზება და ორგანული შეთავსება მოცემული ფიგურალური თქმის სემანტიკაში, მის იდეურ შინაარსში.

კერძოდ, ირკვევა, რომ განხილულ გამოთქმებში მოქმედი პოეტური ეტიმოლოგიის თვალსაჩინო შემადგენლები თუ ფარული მექანიზმები ქვეცნობიერ დონეზე მუშაობენ და ლოგიკური ასოციაციების სათანადო იმპულსებს იძლევიან. ეს იმპულსები აქტუალიზაციისას, გარკვეულწილად, „ეხმარება“ მოცემული ფიგურალური გამოთქმის ხატში ჩადებული (ცნებითი აზროვნების დონეზე მიმდინარე) სიღრმისეული სემანტიკის ფორმირებას და მის გახსნას. ანალიზმა აჩვენა, რომ ფორმალური სურათი სიღრმისეული სემანტიკის შთამბეჭდავობის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ანუ, რაც მეტად დახვეწილი და მდიდარია ფორმა, მეტად შთამბეჭდავია დეკოდირებული დედააზრი და მისი კონტექსტში აქტუალიზაციის დროს თანმდევი ეფექტი.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

საანალიზო მასალა ჩანერილი და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

ქეთევან კაკიტელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყოველდღიურობა როგორც ტრავმა: 1990-იანი წლების საქართველოს მაგალითი

კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად გარდამტეხი სოციალური ცვლილებები მიიჩნევა. საქართველოში ამგვარი ტრავმატოგენური ცვლილებების ხანა იყო 1980-იანი წლების მიწურულისა და 1990-იან წლების პოსტკომუნისტური ტრანზიციული პერიოდი, რომელიც აღინიშნა ზღვრული, გარდამავალი მდგომარეობით ერთი, ნგრევის პროცესში მყოფი სისტემიდან მეორე – ჯერ კიდევ შეუმდგარი რეალობისაკენ. ნაშრომის მიზანია, კოლექტიური ტრავმის თეორიის ქრილში გააანალიზოს აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველდღიური და ინდივიდუალური განზომილება და წარმოაჩინოს, თუ როგორ გავლენას ახდენდა გარდამტეხი ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ (თვით)განცდაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე; რო-

გორ აღიბეჭდა ეს დრო იმ თაობის მეხსიერებაში და როგორ აფასებენ ისინი 1990-იან წლებს უკვე დაახლოებით სამი ათწლეულის გადასახედოდა.

ნაშრომში გაანალიზებულია ზეპირი ისტორიები, ტელეგადაცემები, ბლოგები, სოციალური მედია, 90-იანი წლების ამსახველი დოკუმენტური ვიდეომასალა, პუბლიკაციები და სხვა წყაროები, რომლებიც ასახავს 90-იანი წლების მოვლენებსა და ყოველდღიურ ყოფას, მათ იმდროინდელ და რეტროსპექტიულ აღქმას, ადამიანების ემოციებსა და განწყობებს. მრავალფეროვანი ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ 1990-იანი წლების გამოცდილება კოლექტიური ტრავმის ნიმუშია: მას მიენიჭა მატრავმირებელი მნიშვნელობა, რომელიც გაძლიერდა კომუნიკაციის პროცესში და განზოგადებული ფორმით დამკვიდრდა საჯარო სივრცეში, რაც მოვლენის ტრავმად ჩამოყალიბების წინაპირობაა.

1990-იანი წლების საქართველოს მაგალითი ზუსტად შეესაბამება ტრანზიციული კოლექტიური ტრავმის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ემპირიული მასალის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ კონსტრუირდა 90-იანი წლების ტრავმული ეთოსი: როგორ მოიცვა შიშმა, სასოწარკვეთამ, დაუცველობის, დაბნეულობისა და უპერსპექტივობის დამთრგუნველმა განცდამ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებიც უეცრად მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, მოძღვარებული კრიმინალისა და სოციალური სიდუხჭირის პირისპირ აღმოჩნდნენ; როგორ გართულდა მათთვის საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა გარემოში, რომელთანაც შეუთავსებელი აღმოჩნდა მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები.

ზვიად კვიციანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრექრისტიანული სვანეთი

(წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები)

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში უკვე ქრისტეს მოციქულთა მიერ იწყება. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ გეოგრაფიის მიხედვით,

ნმ. მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად სამჯერ ყოფილა საქართველოში. წმინდანს მესამე მოგზაურობისას ერთხანს თან ახლდნენ სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი. ამ მოგზაურობის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ, როცა მოციქულმა მიანია სვანეთს, „მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგებად მოციქულთა. და მატათა სხუათა მათ თანა მონაფეთა დაშთა მათ კერძოთა,

წლების განმავლობაში თანდათან დაგროვდა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, რომლებმაც ქართულ წყაროთა გადმოცემას დაუახლოვა ქრისტიანობის გავრცელების პირველი გზები. ბევრი რამ ამ მასალებში ქრისტიანული სიმბოლოების გამომხატველი საგნებია, რომლებშიც ნათლად აისახებოდა ახალი რელიგიის იდეოლოგია და დამოკიდებულება წარმართულ გარესამყაროსთან. თითოეულ მათგანზე ეპოქის კვალია დატოვებული და, ამ თვალსაზრისით, სიმბოლოები სვანეთის კულტურული მდგომარეობისა და გარესამყაროსთან ურთიერთობის ნიშნის მატარებელია.

სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები დღეისათვის საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების სვანეთის ცხოვრების ზოგიერთი სპეციფიკური მხარის ჩვენება მკრთალად წარმოგვიდგება. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მრავალ არსებით საკითხზე. საეკლესიო კრებათა მატრიანები და საერო სახის სხვადასხვა ხელნაწერი, მაღალმხატვრული ოქრომჭედლობა, დახვეწილი არქიტექტურა, „სვანური ფერწერის მხატვრული სკოლა“, ეკლესიებში დაცული დიდძალი განძეულობა და ქრისტიანული კულტურის მრავალი სხვა კომპონენტი სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ყოვლისმომცველ ხასიათსა და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს. სვანეთში ქრისტიანული ხელოვნების განვითარება, რომელსაც ახასიათებს არაერთი თავისებურება, ქართული ხელოვნების განვითარების სინქრონულად მიედინებოდა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

ადრე შუა საუკუნეების სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ხასიათსა და საეკლესიო ცხოვრების დონეზე მეტყველებს მდ. ენგურისა და ცხენისწყლის ზემო წელზე გამოვლენილი სამაროვნები და ეკლე-

სიები: ფხუტრერში, სოლში, ხოფურში, ბაბილში, მაზერსა და ნესგუნში. ძეგლების გაცნობა და ისტორიული წყაროების ანალიზი მტკიცედ ასაბუთებს სვანეთის მოსახლეობაში როგორც ქრისტიანული რწმენის სიმტკიცეს, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში ეკლესიის მნიშვნელოვან როლს.

ბორის კომახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რელიგიური იდენტობის ორგანიზება ქალაქ ბათუმში (კათოლიკეებისა და პროტესტანტების მაგალითზე)

ნაშრომი შეეხება პოსტსაბჭოთა ცვლილებების ფონზე რელიგიური იდენტობის ორგანიზების საკითხს ქალაქ ბათუმში კათოლიკეებისა და პროტესტანტების მაგალითზე. წარმოდგენილი იქნება პოსტსაბჭოთა რელიგიური პლურალიზაციის პროცესში ის სტრატეგიები, რომლებსაც კათოლიკეები და პროტესტანტული ჯგუფები მიმართავენ საჯაროდ რელიგიური იდენტობის მატერიალიზებისათვის, საკრალური სივრცის ორგანიზების მეშვეობით. პოსტსაბჭოთა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და მიგრაციულმა პროცესებმა, რომლებიც ქალაქ ბათუმის თანამედროვე სახეს აყალიბებენ, ასევე რელიგიისადმი მოსახლეობის მზარდმა ინტერესმა სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დააყენა რელიგიური ჯგუფები: ტრადიციული და ახალი რელიგიური სივრცის ორგანიზება, მორწმუნეთა მობილიზება, კომუნიკაცია სხვა რელიგიურ ჯგუფებსა და ქალაქის ოფიციალურ პირებთან და ასე შემდეგ. ქალაქის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, მოხსენებაში განხილულია ის გზები, რომლებსაც კათოლიკური და პროტესტანტული რელიგიური ჯგუფები მიმართავენ საჯარო სივრცეში იდენტობის დემონსტრირებისთვის. ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ ხდება რელიგიური სივრცეების საშუალებით კათოლიკეებისა და პროტესტანტების იდენტობის ორგანიზება პოსტსაბჭოთა რელიგიური რეკონფიგურაციის ფონზე ბათუმში და რამდენად განსაზღვრავს ბათუმის, როგორც მულტირელიგიური ქალაქის, სახე ამ ჯგუფების იდენტობის მობილიზების სტრატეგიებს?

მოხსენება ეფუძნება საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას, რომელიც განხორციელდა პროექტის - „ურბანული რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“ - ფარგლებში ბერლინის აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მხარდაჭერით (Zentrum für Osteuropa und Internationale Studien, Berlin), რომელიც მიმდინარეობდა 2018 წლის მაისიდან ამავე წლის დეკემბრამდე. კვლევის დროს გამოყენებული მეთოდებია მონაწილე და უბრალო დაკვირვება, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების მეთოდი. საველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები განხილულია მატერიალურობის, საჯარო რელიგიურობის, რელიგიური სივრცის ორგანიზების თეორიული მიდგომებიდან (Brighenti 2010; Saint-Blacant & Cancellieri 2014; Knot, Krech & Mayer 2016; Burchardt & Giera 2020).

ვახტანგ ლიჩელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბერძნული იმპორტი საქართველოს ჰინტერლანდში (ძვ.წ. VI–II საუკუნეები)

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შემდგომ ხანაში ამ რეგიონში დაიწყო ბერძნული კერამიკის ინტენსიური იმპორტი. კოლხეთის ძირითადი სავაჭრო პუნქტები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა, ინტენსიურ სარედასტრიბუციო საქმიანობას ახორციელებდა ძვ.წ. VI–I საუკუნეებში. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სადისტრიბუციო ცენტრი იყო ძველი ვანი, სადაც თავს იყრიდა კოლხეთის შიდა ბაზარზე შემოსული ნაირგვარი კერამიკა. ვანიდან იმპორტული კერამიკის გადანაწილება ხდებოდა არა მხოლოდ კოლხეთის შიდა რაიონებში, არამედ კოლხეთის ფარგლებს გარეთაც, რისი დასტურიც არის სამხრეთ საქართველოში, აწყურში აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა. ბერძნული იმპორტი აღმოჩენილია აწყურის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში, რომლებიც ძვ.წ. VI–I საუკუნეებს განეკუთვნება: იონიური თასის ფრაგმენტი (ძვ.წ. VI საუკუნის მიწურული), რომელიც კოლხეთის გარეთ, ნამოსახლარებზე მოპოვებულ იმ-

პორტულ ნაწარმში ყველაზე ადრეულია. დანარჩენი იმპორტი, ზოგადად, განეკუთვნება პერიოდს ძვ.წ V საუკუნის შუა ხანებიდან ვიდრე ძვ.წ. II საუკუნემდე (ატიკური - ათენი - ნარმოების ძვ. წ. V-IV საუკუნეების შავლაკიანი და შავფიგურული კერამიკის ფრაგმენტები; Lancut -ის ჯგუფის სკიფოსი, რომელიც ძვ.წ. 480-470 წწ. თარიღდება; ასევე იმპორტული ნარმოებისაა 80 -ამდე თვალადი მძივი). ნამოსახლარის შესწავლისას აღმოჩენილი იმპორტულის მიბაძვით დამზადებული მასალა იყოფა ორ ჯგუფად: ბერძნულისა (ლუთერიუმები და ფიალები) და აქემენიდურის მიბაძვით დამზადებული (მოხატული დოქები) ნივთები. ამ ფონზე უაღრესად საინტერესოდ გამოიყურება აქემენიდურ ირანში დამზადებული რამდენიმე ჭურჭელი, აგრეთვე, ბრინჯაოს კალენდარი.

მომდევნო პუნქტი, სადაც ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული იმპორტული კერამიკა არის აღმოჩენილი და მდებარეობს აღმოსავლეთ კოლხეთის გარეთ, არის ტახტიძირი, ხოლო უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი, სადაც სრულიად მოულოდნელი, მაგრამ კულტურის ინფილტრაციის (და, შესაძლოა, არა მხოლოდ კულტურის!) თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერძნული ნიმუშებია აღმოჩენილი, არის გრაკლიანის გორა. აქ მოპოვებულია საქართველოში ყველაზე ადრეული ბერძნული დეკორატიული ელემენტები, რომლებიც ძვ.წ. V-IV საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩნდა, აგრეთვე, ძვ.წ. V-II საუკუნეების ბერძნული იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გრაკლიანზევე აღმოჩნდა აქემენიდურ სტილში მოხატული, მაგრამ ბერძნული ლაგინოსის ფორმის მქონე დოქი, რომელიც ქართლშია დამზადებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს აწყურში, წნისსა და ტახტიძირში მიკვლეული ბერძნული დაკრძალვის წესის („ქარონის ობოლი“) დადასტურების ფაქტების შესახებ.

ამ მცირერიცხოვანმა ფაქტებმა, შესაძლოა, სრულიად შეცვალონ საქართველოს ჰინტერლანდში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში განვითარებული კულტურული ურთიერთობების ვექტორი და იგი დასავლეთის მიმართულებით გადახარონ.

ინესა მერაბიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრანსლატოლოგია, როგორც თარგმანის ახალი პერსპექტივა

თარგმანის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, თარგმან-მცოდნეობა, როგორც თეორიული დარგი, პრაქტიკულად მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა. თავდაპირველად ის განეკუთვნებოდა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს, ხოლო დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა რა დამოკიდებულება თავად თარგმანის ფენომენისადმი, მისმა კვლევამ უკვე მოითხოვა ლინგვისტიკის განსაკუთრებული ჩართულობა. საგულისხმოა, რომ თავად XX საუკუნის ლინგვისტიკაში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება წარმოაჩენს თავს:

ერთი მხრივ, სემასიოლოგია, რომელიც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა სიტყვის შესწავლასა და მისი მნიშვნელობის, როგორც ერთი მთლიანის, დანაწევრებას სემებად, ანუ უმცირეს შემადგენელ ნაწილაკებად. სიტყვის მნიშვნელობის ცალკეულ ნაწილაკებად განხილვა საშუალებას აძლევდა მეცნიერს, ნათლად წარმოედგინა, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში ამ სემების გადანაწილების ხარჯზე. ეს გახლდათ ის დიდი გადატრიალება ენათმეცნიერებაში, რომელიც ფიზიკაში ატომის დაშლას შეადარეს.

მეორე, რამაც ასევე დიდი ძვრები გამოიწვია ენათმეცნიერებაში, გახლდათ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის, დამკვიდრება, თუმც ეს უკანასკნელი ვერ ასცდა იმ ომს, რომელიც მას სემასიოლოგიამ გამოუცხადა იმ პრეტენზიით, რომ ერთიანი ტექსტის შესწავლა ხელს უშლიდა სიტყვის სიღრმისეულ კვლევას.

ამასთანავე, აშკარა ხდებოდა, რომ თარგმანის თეორიის განვითარება დაბეჭითებით მოითხოვდა ენათმეცნიერების ორივე დარგის შედეგების გამოყენებას, რადგან ჰერმენევტიკა, რომელიც ტექსტის ინტერპრეტაციას ეყრდნობა, ნაბიჯს ვერ გადადგამდა ტექსტის ლინგვისტური მექანიზმის გახსნის გარეშე. ამდენად, დედნისეული ტექსტის შეპირისპირებამ თარგმანთან ლინგვისტური მეთოდოლოგიით სრულიად ახალი სიცოცხლე და პერსპექტივა შესძინა თავად თარგმანის შესრულების საქმეს. ასე შეიქმნა თარგმანის ლინგვისტიკის ჩემული თეო-

რიაც, რომელიც, უპირველესად, ემსახურება ადეკვატური თარგმანის შესრულებისა და მისი კრიტიკული ანალიზის საქმეს.

ნინო მინდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისიონერთა ცნობები ქართული ტრადიციული მედიცინის შესახებ (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი)

მე-17 საუკუნეში, როგორც ცნობილია, თეატინელმა მისიონერებმა მოღვაწეობა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყეს, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში განაგრძეს.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 1633-1643 წლებში იმყოფებოდა სამეგრელოში. მან საქართველოს შესახებ წერილები და ორი მოხსენება დატოვა.

ევროპელი მისიონერების მიზანი საქართველოში კათოლიკობის გავრცელება და პოპულარიზაცია იყო. ამ მიზნის განსახორციელებლად, ისინი მკურნალობის პრაქტიკას ეწეოდნენ. ამასთან ერთად, ადგილობრივ სამკურნალო ტრადიციებსაც ეცნობოდნენ.

მილანელი თითქმის არაფერს ამბობს სამეგრელოში არსებულ ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებზე, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში გვაქვს საკმაოდ საინტერესო ცნობები კოლხეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ. მცენარეულობით მკურნალობის ტრადიციები შეუნიშნავი არც არქანჯელო ლამბერტს დარჩენია.

დონ ჯუდიჩე მილანელი, ძირითადად, აღწერს მაგიურ-რელიგიურ პრევენციულ და სამკურნალო წეს-ჩვეულებებს: ბადის შემოხვევის წესს, ავადმყოფის ავი სულებისგან დაცვის მიზნით, ცხვრით „თავ-შემოვლების“ რიტულს და სხვ., რომელთაც ქეშმარიტი ქრისტიანებისათვის მიუღებლად მიიჩნევს. იგი, საერთოდ, სამეგრელოში გავრცელებულ სამკურნალო ტრადიციებს სკეპტიკურად უყურებს. არ არის გამორიცხული, რომ იტალიელი მისიონერები, რომლებიც მკურნალობით იხვეჭდნენ პოპულარობას, ადგილობრივი სამკურნალო პრაქტიკის

დაკნინებას ცდილობდნენ. იმავდროულად, მისიონერები, როგორც ჩანს, არ ერიდებოდნენ ე.წ. „თვალთმაქცობას“, მაგ., წამლის ნაცვლად წყლით მკურნალობას, რომელსაც ზოგჯერ დადებითი შედეგი ჰქონია. მილანელი თავად აღნიშნავს: „როგორც ჩანს, უფალმა კარგად მიიღო ჩვენი წმინდა თვალთმაქცობა, რადგან ბევრი ავადმყოფი არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც გამოჯანსაღდა“ .

ევროპელი მისიონერების ცნობები ქართული ტრადიციული მედიცინის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, რამდენადმე ტენდენციური ხასიათიც აქვს. მათი განხილვის დროს ამ ფაქტის გათვალისწინება ალბათ საჭირო იქნება.

ლადო მინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროზაულ თხზულებაზე ილიას შემოქმედებითი მუშაობის ერთი თავისებურების შესახებ

ილია ჭავჭავაძე მოთხრობაზე შემოქმედებით მუშაობას იწყებს მაშინ, როდესაც მისთვის ტენდენცია, იდეური ჩანაფიქრი უკვე ნათელია, მხატვრული მასალაც მოპოვებულია და იდეასთან შესაბამისობაში მოყვანილი, მასზე დაქვემდებარებული. ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში, როცა მასალა კონკრეტულ სახეს იძენს, ჩნდება ახალი, ძირითადი ტენდენციისაგან რამდენადმე მაინც განსხვავებული თემა და მასალა, რაც დაუძაბავად, იდეის მასალაზე ბატონობის გარეშე იძენს თავისთავად ღირებულებას და სიცოცხლეს. ასე შეიქმნა პროზაული შედევი „კაცია-ადამიანი?“, ცალკე, მოთხრობა „გლახის ნაამბობიდან“ გამოყოფილი. მოგვიანებით მოთხრობაზე, რომელსაც ადრე „გიორგი“ რქმევია, მუშაობისას, წოდებათა ურთიერთობის ჩვენების იდეური ხაზიდან ცალკე ამოიზარდა ქართველი დედის ოთარაანთ ქვრივის პრაქტიკულად ცენტრალური ხაზი და საბოლოოდაც მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“ ეწოდა. უნდა გარკვევით ითქვას, რომ ამ დიდებული მოთხრობის უკვდავებასაც, ძირითადად, სწორედ დედის სრულქმნილი მონუმენტური სახე აპირობებს.

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომი და ტრავმული მეხსიერება (იმაგოლოგიური ასპექტი პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე)

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ქართველებსა და აფხაზებს შორის განვითარებული დრამატული მოვლენების ამსახველი ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპებისა თუ ფობიების სრულად წარმოჩენა რთული ამოცანაა, თუმცა შესაძლებლად მიგვაჩნია ზოგიერთი მნიშვნელოვანი იმაგოტიპის გამოყოფა, რომელიც პოსტკოლონიურ ქართულ მწერლობაშია დამკვიდრებული.

სტატიაში წარმოჩენილია თანამედროვე ქართველი მწერლების მიერ დანახული აფხაზეთის ტრაგედია, აფხაზის იმაგოტიპი კონფლიქტის ქრილში. მწერლებს შორის არიან ისინი, ვინც მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდნენ და თავად გადაიტანეს ომის სიმძიმე (გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა, სერგო წურნუშია...) და ის მწერლებიც, რომლებიც „შორიდან დანახული სიმართლით“ შეუერთდნენ ომის თემას (დათო ტურაშვილი, ნუგზარ შატაიძე, მიხო მოსულიშვილი). ნაწარმოებთა ერთი ნაწილი რეალურ ფაქტებზეა აგებული, ამდენად, მწერლების მიერ წარმოჩენილ პერსონაჟებსა და გადმოცემულ ამბებს დამაჯერებლობა არ აკლიათ. აღვნიშნავთ, რომ ქართველი მწერლები ერთსულოვანნი არიან ერთ საკითხში – კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისთვის ეს ომი იყო სულიერების მარცხი, შესაბამისად, ქართველ მწერალთა მთავარი გზავნილი არის ის თეზა, რომ აფხაზეთის ომს გამართლება არა აქვს, მასში გამარჯვებული არავინაა.

განხილული ნაწარმოებები (დათო ტურაშვილის „ტატაშ მარშანი“, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ მიხო მოსულიშვილის „არღარა ეყვილოს მამალსა“, გურამ ოდიშარიას „ძმისშვილი“, გელა ჩქვანავას „შიშის საათი“, სერგო წურნუშიას „ხიდი“) გვარწმუნებს, რომ ქართველები არ საუბრობენ აფხაზეთზე „სიძულვილის ენით“, არ ქმნიან აფხაზისგან მტრის ხატს, ომის დროს მათ მიერ გამოვლენილ ადამიანურ საქციელსაც აფასებენ და ა.შ. მიგვაჩნია, რომ ომისა და ტრავ-

მული მეხსიერების ურთიერთმიმართების შესწავლა იმაგოლოგიურ ქრილში აქტუალურია, რადგან ათნლეულების შემდეგ თაობები სწორედ იმ ნაციონალური მითებითა და იმაგოტიპებით იმსჯელებენ, რომლებიც ახლა, ჩვენ თვალწინ ყალიბდება და მკვიდრდება მხატვრულ ლიტერატურაში.

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ლიტერატურის თარგმნის სოციოკულტურული პრობლემები პოსტკოლონიური პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში

უცხო/სხვა კულტურის ექსპლიკაცია, სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ლოტმანი, დ. ნალივაიკო და სხვ.) აღიარებული მოსაზრების თანახმად, კულტურის სემიოტიკისა და ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალური პრობლემაა. ამ რთულ და მრავალშრიან პრობლემაში მეტად აქტუალურია მხატვრული თარგმანის ფუნქცია.

ათნლეულების განმავლობაში უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსში ქართული ლიტერატურის თარგმნის მდიდარი ტრადიცია ჩამოყალიბდა. თარგმანის პროცესი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ნაციონალური ლიტერატურული პროცესის განვითარებისა და ცვალებადობის კვალდაკვალ.

სემიოტიკური, სოციოკროტიკული და ინტერდისციპლინური კომპარატივისტული ანალიზის საშუალებით მოხსენებაში განვიხილავ ქართული ლიტერატურის თარგმნის ტენდენციებს თანამედროვე/პოსტკოლონიურ უკრაინულ ლიტერატურულ პროცესებში.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება „ლიტერატურული შუამავლების“ როლზე მთარგმნელობით ურთიერთობებში, სათარგმნი მასალის შერჩევის პრინციპებსა და სტრატეგიებზე. პრობლემის ამ კუთხით კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ რეალობასთან კულტურის მიმართების ცვალებადობა. აქედან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება ქართული ლიტერატურის, როგორც უცხო/სხვის, ფუნქციონირების ფაქტორებზე. ცალკეულ მოდელებად გამოიყოფა ნათარგმნი ლიტერატურა: პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა.

კომპარატივისტული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პოსტკოლონიურ პერიოდში დაიწყო ქართული ლიტერატურის უცნობი ასპექტებით დაინტერესება: ბოლო წლებში აქტიურად ითარგმნება როგორც ცნობილი/კლასიკური მწერლობა, ისე თანამედროვე ავტორების პროზა და პოეზია. კვლევის პროცესში ჩვენ მიერ შეგროვებული მასალა მეტად შთამბეჭდავად წარმოადგენს თარგმანის საშუალებით უცხო კულტურული სახის აღქმის პროცესს პოსტკოლონიური პერიოდის უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსში.

ამირან ნადირაშვილი

შადვა ამიხანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

ორგანოფილებიანი ღუმელები აღმოსავლეთ საქართველოში

კვლევა შეეხება პურის საცხობ ორგანოფილებიანი ღუმელებს, რომლებიც აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ღუმელებს ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ „ხოვლური ღუმელების“ სახელით, რადგან პირველად ასეთი ტიპის ღუმელები სწორედ ხოვლეგორაზე აღმოჩნდა 1954–1961 წლებში.

პურის საცხობი ორგანოფილებიანი თიხა-ალიზით ნაგები ღუმელები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საცხოვრებელი სახლის ინტერიერის აუცილებელ ელემენტი ხდება. საქართველოს ტერიტორიაზე ხოვლური ტიპის ღუმელები გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, გარდა კახეთისა. ეს ღუმელები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პერიოდის მრავალ ძეგლზეა აღმოჩენილი: ამირანის გორა, ბერიკლდეები, ცხინვალის ნაცარგორა, ყათლანისხევი, გრაკლიანის გორა, სამთავრო, ნარეკვაკი, დარაქოი, ციხიაგორა, კარნისხევი.

შესწავლილ ორგანოფილებიანი ღუმელებში საცხობი განყოფილება მდებარეობს მარცხნივ, საცეცხლე კი მარჯვნივ. ყველა ღუმელს აქვს თაღოვანი გადახურვა, ძალზე ხშირია ნამტვრევი კერამიკის გამოყენება თბოსაიზოლაციოდ. უკვე ცნობილი ფაქტია ისიც, რომ სახლებში, სადაც გამოვლინდა ხოვლური ტიპის ღუმელები, აღმოჩნდა ხელსაფქვავების ფრაგმენტებიც, როგორც ჩანს, ამავე შენობაში ხდებოდა მარცვლეულის პირველადი დამუშავება და გამოსაცხობად გამზადება.

ძვ. წ I ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია აქემენიდური სამყაროს გარკვეული გავლენის ქვეშ მოექცა. სავარაუდოა, რომ ის ხალხი, რომელიც ორგანოფილებიან ღუმელებს იყენებდა, შედარებით მარტივად ადაპტირდა ახალ რელიგიაზე, რადგან ცეცხლი და ღუმელი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო დიდი ხნის განმავლობაში. ციხიაგორის ტაძარი ამ კავშირის ნათელი მაგალითია.

ის შენობები, სადაც პურის საცხობი ღუმელები აღმოჩნდა, ძირითადად, ერთ-ან ორსენაკიანი იყო. სავარაუდოა, რომ ეს არ იყო დადგენილი სტანდარტი და განპირობებული იყო კონკრეტული სახლის მფლობელის საჭიროებითა და შესაძლებლობით. მიუხედავად ამისა, ღუმელების მოწყობის წესი, ძირითადად, ერთ წესს ექვემდებარებოდა, ისინი შენობის უკანა კედელთან, ძირითადად, მარცხენა კედელთან იმართებოდა. ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, გვიანანტიკური ხანის ჩათვლით ორგანოფილებიანი ღუმელების არსებობა მიუთითებს გარკვეული ტრადიციის უწყვეტობაზე.

ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰეტერონიმების პოეზია

ტერმინი „ჰეტერონიმი“ პორტუგალიელი მწერლისა და მთარგმნელის ფერნანდო ანტონიო ნოგეირა პესოას სახელს უკავშირდება. მან არაერთი ჰეტერონიმი, ნახევრადჰეტერონიმი და ფსევდონიმი შექმნა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხის შესწავლით დაინტერესდა, ტერეზა რიტა ლოპეში იყო. თავდაპირველად მან 18, მოგვიანებით კი, 90-იან წლებში, 72 ჰეტერონიმი დაითვალა. 2013 წელს ჟ. პიზარომ და პ. ფერარიმ პესოას ჰეტერონიმების სია 136 ავტორამდე შეავსეს. პესოას ყველა ჰეტერონიმს თავისი ბიოგრაფია, პროფესია, ესთეტიკური პროგრამა, ცხოვრების ფილოსოფია და წერის განსაკუთრებული სტილი ჰქონდა.

ფერნანდო პესოას ჰეტერონიმთა ლირიკა ინტელექტუალურია და მრავალფეროვანი. მოხსენებაში წარმოჩენილია ფერნანდო პესოას სა-

მი ჰეტერონიმის – ალბერტუ კაიეროს, ალვარუ დე კამპუშუსა და რიკარდუ რეიშის – პოეზიის ძირითადი თემები და მახასიათებლები. გაანალიზებულია ჰეტერონიმთა მისტიკურ-სიმბოლიზებული ხატები, ეგზისტენციალური გაუცხოება და სულიერი კოლიზია, რომლებიც განაპირობებდნენ ფერნანდო პესოსას როგორც ინდივიდისა და პოეტის დეპერსონალიზაციას.

დავით ნასყიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაჩხომერი – ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია. ახალი არქეოლოგიური მონაცემები

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში, ადგილ მაჩხომერზე სადაზვერვო ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 2105 წელს (ხელმძღვანელი – რევაზ პაპუაშვილი). ექსპედიციის მიზანი იყო, გამოეკვლინა გორაკზე არსებული ქვის შემორჩენილი კედლის ფრაგმენტის რაობა. გარდა ამისა, მაჩხომერის გორის ფერდებზე გოგიტა ჩიტაიამ (ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური) მიაკვლია კერამიკის ფრაგმენტებს. არქეოლოგიური სამუშაოები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო გორის ცენტრალურ ნაწილზე, სადაც შემდგომ პერიოდებში, 2019-2020 წლებში შემოიხაზა ეკლესიის კონტურები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად უკვე შესწავლილია ეკლესიის ორი მესამედი ფართობი, ეკლესიის გარშემო შემორჩენილი გალავნის ფრაგმენტები და ორი კოშკი. ეკლესიაში ამ დრომდე გამოვლინდა 11 ბერძნული წარწერა, რომელთაგანაც უმეტესი ნაწილი დარბაზული ბაზილიკის ჩრდილოეთ ნავში გამოვლინდა. ასევე, გვხვდება რელიგიური მოტივებით გაფორმებული ფილა ქვები. ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ ნაწილში (სამკვეთლო) გამოვლინდა 3 აკლდამა.

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადგინდა ეკლესიის გადაკეთების რამდენიმე ფაზა.

ნინო ნასყიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის უკრაინული პროზის ჟანრობრივ-სტილისტური ტენდენციები

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში მრავალფეროვნებით, ჟანრობრივ-სტილისტური ტენდენციებით, მათი ორგანული თანაარსებობით, მხატვრული პარადიგმების სიმრავლით ხასიათდება, რაც, უმეტესწილად, აისახა ლიტერატურული გაერთიანება „ვაპლიტეს“ (პროლეტარული ლიტერატურის თავისუფალი აკადემია) მწერალთა შემოქმედებაში. მათ ნაწარმოებებში არ იყო მკაცრად დაცული ნორმატიულობა, დოგმატური კანონები, ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა მხატვრული სისტემის ფარგლებში დამუშავებული ხერხები.

უკრაინული ლიტერატურის ამ პერიოდს იკვლევდნენ ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორებიცაა: ი. ლავრინენკო, ი. შეხერი, მ. ნაენკო, ტ. ჰუნდოროვა და სხვები, თუმცა „ვაპლიტეს“ ესთეტიკურ-მხატვრული პარადიგმა, როგორც ერთიანი სისტემა, კრიტიკოსების ყურადღების მიღმა რჩებოდა. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები ლიტერატურულ გაერთიანებაში შემავალ მწერალთა იერარქიაზე, რომლებმაც შექმნეს ახალი ლიტერატურული მოდელები, როგორც შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მკაფიო სახე.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის უკრაინული პროზის ჟანრობრივ-სტილისტური ტენდენციების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა დროისა და სივრცის პოზიციიდან, იმდენად, რამდენადაც სწორედ იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი აქტიური რომანტიზმის სამეცნიერო დისკურსს, როგორც ფილოსოფიური მატერიალიზმისა და პოზიტივიზმის საპირისპირო მოდელს.

ციცინო პაპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მევენახეობა-მელვინეობა ზემო იმერეთში

ვაზის კულტურა უძველესი პერიოდიდან იყო გავრცელებული საქართველოში და, შესაბამისად, მევენახეობა-მელვინეობის უძველეს კერად მცნირთა დიდი ნაწილი სწორედ საქართველოს მიიჩნევა.

ვაზის კულტურა საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იყო გავრცელებული და ქართველი გლეხის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მეურნეობის ეს დარგი წარმოადგენდა, ვინაიდან ვაზისაგან სხვადასხვა სახის ნაწარმის მიღება იყო შესაძლებელი.

თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარება და ინტეგრირება მსოფლიოს ბაზართან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მევენახეობა-მელვინეობის დარგს უკავია.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში, კერძოდ კი ზემო იმერეთში, მეურნეობის ფორმების შესწავლა, ყურადღება გამახვილებული იქნება ზემოიმერულ სოფლებში მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებსა თუ ტრადიციებზე და შევცდები, პარალელი გავავლო წარსულში არსებულ სამეურნეო წეს-ჩვეულებებთან, რათა უკეთ გამოიკვეთოს ამ დარგთან მიმართებით არსებული ცვლილებები თუ პრობლემები, როგორც შიდა მეურნეობაში, ასევე მეურნეობაში სახელმწიფოს ჩართულობასა და როლთან დაკავშირებით.

საკითხზე მუშაობისას საკვლევ მეთოდად შერჩეულ იქნა სავლეთეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი, რაც თავის თავში აერთიანებს დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდს, რომელიც მნიშვნელოვანია პირველადი ინფორმაციის შეკრების თვალსაზრისით, ხოლო ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა შედარებით-ისტორიული მეთოდი.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზემო იმერეთში მოსახლეობა მაქსიმალურად ცდილობს მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული ტრადიციების შენარჩუნებას, თუმცა ადრინდელთან შედარებით მასშტაბები შემცირებულია და საოჯახო მეურნეობის ფორმა აქვს მი-

ღებულის მიზეზები სხვადასხვაგვარია: ერთის მხრივ, ეს ეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული, რადგან ვენახის მოსავლელ საშუალებებზე გაზრდილი ფასების გამო გლეხი სამეურნეო საქმიანობის ამ ფორმას შემოსავლის წყაროდ ვეღარ აქცევს; მეორე მხრივ კი, სოფელი დაცლილია ახალგაზრდა, მწარმოებელი ძალისაგან, რაც აისახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე.

ასევე, შედეგებმა აჩვენა, რომ, ვინაიდან ქართველ გლეხთა უმეტესობას ცხოვრების დიდი ნაწილი სოციალისტურ წყობაში აქვს გატარებული და მიჩვეულია სახელმწიფოს პატერნალისტურ როლს, სასწრაფოდ მოითხოვს სახელმწიფოსაგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რათა მეურნეობის ეს დარგი, განვითარდეს და გაქრობის საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს. მევენახეობა, როგორც ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა, დაცული უნდა იქნეს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქართულმა ღვინომ თანდათან აღიარება და დაფასება მოიპოვა მსოფლიო ბაზარზე.

წინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოროასტრიზმი და „ევსტათი მცხეთელის წამება“ – მზის ესქატოლოგია

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ მეორე უძველესი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შემდეგ. თხზულებაში გადმოცემულია მე-6 საუკუნის ქართლის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების ასპექტები. ტექსტის მეცნიერული შესწავლის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მათ შორის: ნაწარმოების ავტორის, დაწერის თარიღისა და სხვ.

ტექსტი პირველად გამოსცა მიხეილ საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“ 1882 წელს. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ისტორიული, ჰაგიოლოგიური, ფილოლოგიური და სხვა მნიშვნელობის გამო ივანე ჯავახიშვილმა ძეგლი თარგმნა გერმანულ ენაზე 1901 წელს.

მარტვილობაში ასახულია წარმართობასთან პოლემიკა. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის სარწმუნოებრივი კუთვნილების შესახებ არსებობს მკვლევართა განსხვავებული შეხედულებები. მოხსენებაში ვისაუბრებთ ზოროასტრიზმის გავლენებზე „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“. ყურადღებას გავამახვილებთ მზის ესქატოლოგიაზე, რომელიც საერთოა მაზდეანური და ქრისტიანული რელიგიებისათვის.

ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1249 წელს დავით VI ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლა – „აჯანყება“ თუ პოლიტიკური დემარში

მონღოლთა წინააღმდეგ დავით VI ნარინის პოლიტიკური დემარშით საქართველოში დაიწყო პროცესები, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა. 1249 წელს საქართველოში მომხდარი მოვლენები ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთგვაროვნადაა შეფასებული. ამას თავისი მიზეზი აქვს, რომელზეც ზემოთ ნაწილობრივ ვისაუბრეთ კიდევ. კერძოდ, ქართულ და სომხურ წყაროებში დაახ. 1249 წლისათვის მოთხრობილია ამბავი, რომელშიც ფიგურირებს საქართველოს მეფე დავითი, მაგრამ თავად ამბავი განსხვავებულად არის გადმოცემული მემატრიანეებთან. ამან გამოიწვია გაუგებრობა შეფასებებსა და ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციაში.

ჟამთააღმწერელთან და სტეფანოს ორბელიანთან აღწერილი ამბავი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჯდება იმ მონათხრობში, რომელიც დაცულია გრიგოლ აკანელთან, კირაკოს განძაკელთან, ვარდან არეველცსა და ანონიმ სომეხ ჟამთააღმწერელთან. წყაროთა ამ ცნობების შეჯერების შემდეგ აბსოლუტურად რეალისტურად გვეჩვენება ისტორიული მოვლენების შემდეგი სახით რეკონსტრუირება: ჟამთააღმწერელსა და სტეფანოს ორბელიანთან მოთხრობილი ამბავი ეხება ერთ დავითს – დავით რუსუდანიის ძეს, ხოლო გრიგოლ აკანელთან, კირაკოს განძაკელთან, ვარდან არეველცსა და ანონიმ სომეხ ჟამთააღმწერელთან დაცული ცნობები მეორეს – დავით გიორგი-ლაშას ძეს. ჟამთააღმწერელი და სტეფანოს ორბელიანი გვიყვებიან მთელი ამ ისტორიის

ერთ ნაწილს, რომელიც დავით ნარინს შეეხება. ეს უკანასკნელი იმ დროს მონღოლ ნოინთა კარზე იმყოფებოდა, ალატაღს, მაშასადამე, ის „თბილისის აჯანყების“ თანამონაწილე ვერ იქნებოდა. ალატაღიდან ნოინები და, მათ შორის, დავით ნარინი ბარდავში, საზამთრო სადგომზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ. როგორც ჩანს, მონღოლთა ყურამდე სწორედ ამ დროს მოვიდა ამბავი თბილისში ვითომდა მოსალოდნელი „აჯანყების“ შესახებ. არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ინფორმაცია დავითსაც შეეტყო და გზიდან, ნახჭევანს მისულმა, ფარულად დასავლეთ საქართველოში გაქცევა განიზრახა. როგორც წესი, ასეთ დროს დავით ნარინს დედაქალაქში, თბილისში, წასვლა უნდა ეცადა, მაგრამ ის ამ გზას არ ირჩევს და უფრო უსაფრთხო ადგილას იხიზნება. ამას თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს – მან იცის, რომ თბილისი ამ ვითარებაში ნაკლებ უსაფრთხოა მისთვის. მთელ ამ ამბავში არსად ჩანს შეპყრობილი და სასამართლოს წინაშე წარმდგარი დავით მეფე, პირიქით, ნარინის გადაადგილებას არავინ ზღუდავს. ესეც ნიშანდობლივია, რამეთუ მონღოლთა ძირითადი ნაწილი ამ დროს თბილისისაკენ უნდა ყოფილიყო გადაჯგუფებული. რაც შეეხება გრიგოლ აკანელის, კირაკოს განძაკელის, ვარდან არეველცისა და ანონიმი სომეხი მემატიანის ცნობებს, აქ უკვე საქმე გვაქვს ამ მოვლენის მეორე ეტაპთან, როდესაც თბილისში შეპყრობილი დავით მეფე მონღოლებს მიჰყავთ მათ საზამთრო სადგომზე და პატარა გამოძიებასაც ატარებენ. საქართველოს მეფე მარტო არ არის, მასთანაა დიდი ნაწილი დიდებულებისა, მათ შორის ავაგიც.

რამდენად გამართლებულია, საერთოდ, 1249 წლის ინციდენტს „აჯანყება“ ვუწოდოთ? ფაქტობრივად, ეს იყო, პოლიტიკური პროტესტი მონღოლთა წინააღმდეგ, რომელიც დავით ნარინის შემთხვევაში მათ დაუკითხავად დასავლეთ საქართველოში გადასვლით გამოიხატა, ხოლო დავით ულუს შემთხვევაში პასიური მუქარით, რომელსაც არავითარი ქმედება არ მოჰყოლია.

მიხეილ ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა და საზოგადოება „ცოდნა“ 1953-1964 წლებში

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს საბჭოთა კავშირის ისტორიული წარსულის მეცნიერულ შესწავლას. აღნიშნულს დიდი შემეცნებითი გარდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც შეიძლება მიენიჭოს. საბჭოთა კავშირის შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკას და მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერულ გაანალიზებას.

1947 წელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაარსდა საზოგადოება „ცოდნა“, რომელსაც მიენიჭა განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები, მისი დანიშნულება იყო, მოსახლეობის ფართო ფენებში გაენიშა მთავრობის გატარებული პოლიტიკური კურსის აგიტაცია და სამეცნიერო ცოდნის მაქსიმალური გავრცელება-პოპულარიზაცია. წინამდებარე გამოკვლევაში გაანალიზებულია, ერთი მხრივ, 1953-1964 წლებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული რელიგიური პოლიტიკა, მისი მახასიათებლების განხილვა, ხოლო მეორე მხრივ, თუ როგორ ხდებოდა მისი ასახვა საზოგადოება „ცოდნის“ სააგიტაციო პოლიტიკაში.

სამეცნიერო პრობლემის კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნულ საკითხს მეტად მრავალმხრივი და საინტერესო მიმართულებები ჰქონდა, რომლის მეცნიერულ შესწავლასაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მთავრობა აქტიურად და მაქსიმალურად, იყენებდა ქვეყანაში არსებულ ინტელექტუალურ და მატერიალურ-ტექნოლოგიურ რესურსებს; სამთავრობო რელიგიური კურსის აგიტაცია წარმოებდა როგორც სალექციო მუშაობით, ასევე წიგნებისა და ბროშურების გამოცემა-გავრცელებით; ორივე კუთხით მუშაობა ერთობ აქტიურად და სახასიათო თავისებურებებით მიმდინარეობდა, რაც თავის თავში გულისხმობდა ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი ფოლკლორული მასალის (ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები) აქტიურ გამოყენებას. ეს განპირობებული იყო ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით. საზოგადოება „ცოდნამ“ საქართველოში და, ზოგადად, საბჭოთა სივრცეში

დიდი როლი შეასრულა ანტირელიგიური იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდაში.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ყურადღება გამახვილებული გვაქვს საზოგადოების ქართული ფილიალის მიერ გამოშვებულ ბროშურებზე, მოვახდინეთ მათი თემატური სახით სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია და გაანალიზება.

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ

„დავით და ტირიჭანის საკითხავის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საკითხია განხილული. მათ შორისაა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი - „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის განსაზღვრა, რაც მოითხოვს პრობლემის განხილვას ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძის მიერ ბავშვების სოციალური მიზანდასახულობით მოკვლას წამების დამაჯერებელ საფუძველად და საბუთად არ მიიჩნევდნენ, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში, „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში“ ხსენებული საკითხის შესახებ დასვა კითხვები, რომელთათვის პასუხი მას ნაშრომში არ გაუცია. ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, განსაზღვრა მისი ზოგადკულტურული და ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა, მათ შორის თხზულების ჟანრობრივი რაობა. მისი აზრით, „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ყრმები ქრისტიანობის გამო არ მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ თავისი მატერიალური ინტერესების განსახორციელებლად შეიწირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა, მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილებელნი. უნდა ითქვას, რომ „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“ ჟანრობრივი თვალსაზრისით არ შესწავლილა. არ არის განსაზღვრული თხზულების უარყოფითი პერსონაჟის, თევდოსის, ქრისტიანობაზე მოქ-

ცევის საკითხი, როგორც ამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულობის ერთ-ერთი საფუძველი. ყოველივე ეს მისი სახისმეტყველებითად განხილვის შედეგად ირკვევა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავის“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მიჩნევისათვის ორი საფუძველი არსებობს: 1. მცირეწლოვან ყრმათა ბიძის მიერ მოკვლა ავტორის მიერ თვით თხზულებაშივეა წამებად აღქმული; 2. თევდოსის ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, როგორი დაუჭერებელი ფაქტებითაც უნდა იყოს მოწოდებული, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული, რაც ბიბლიურ-ევანგელურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას შეესაბამება. თხზულების ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ზესთასოფელი, რომლებიც კატაფატიკურ-აპოფატიკური სიმბოლური სახელებით მოიხსენია. ავტორი წერს, რომ ბავშვებს „საწუთროდ ესე განხრწნადი“ დააკლდათ, მაგრამ „წარუვალითა მით სრულ იქმნენ“ (ძეგლები, 1963//1964: 186). დროის კონტრასტულობა, მარადიულობისა და წუთისოფლის დაპირისპირებულობა სივრცის საღვთისმეტყველო თვალთახედვით გააზრებასაც განსაზღვრავს, რადგან ძმების სივრცული არეალი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. ისინი მარადიულობასა და ქრისტიანულ სივრცეზე ორიენტირებულნი იყვნენ, ხოლო მათი მკვლელი ბიძა მხოლოდ საწუთროულ დრო-სივრცეზე, ამქვეყნიურ ღირებულებებზე ზრუნავდა, რომელმაც სინანულით განიწმინდა სულიერი მომავალი. ამიტომ თხზულება ერთ-ერთი ღირებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვები ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, მშობლებისა და ნათესავების სიყვარულით, სასოებითა და სულიერობით ზეციური მოქალაქეობის მოპოვების გზას დაადგნენ.

თეა ქამუშაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რელიგიური სივრცეების ორგანიზება რუსთავის სამეზობლოებში – სამოქალაქო მონაწილეობისა და აქტივიზმის განსხვავებული ფორმები

სოციალისტური ქალაქის მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების ამბიციური პროექტი იყო საქართველოში. მძიმე ინდუსტრია, მუშათა კლასი და ხალხთა მეგობრობა უნდა ყოფილიყო ცარიელ ველზე გაშლილი ქალაქის მთავარი სავიზიტო ბარათი. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიულ რუსთავს საპრეზენტაციოდ ისტორიული საფუძვლებიც მოეძებნა, ბუნებრივია, რელიგიისა და საკრალური სივრცეებისათვის ადგილი მაინც ვერ მოიძებნა ქალაქში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ინდუსტრიული რუსთავის მშენებლობა სრულად გამოხატავდა საბჭოთა სისტემის მისწრაფებებს: ისტორიული ქალაქის აღორძინება მოდერნული ცხოვრების სტილით.

ეკლესიებისა და რელიგიისთვის ადგილის ძიება ქალაქის ურბანულ გარემოში საბჭოთა სისტემის საბოლოო ნგრევის გაფორმებამდე დაიწყო. სწორედ რუსთავში დაიწყო პირველი მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც თავისებურ სიმბოლოდ და მანიშნებლად იქცა სისტემის რღვევისა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი ქართულ საზოგადოებაში ბევრი ნიშნით გამოირჩა, ეკლესიის არქონა ქალაქის ყველაზე დიდ ნაკლად რჩებოდა საქართველოს მასშტაბით. მოხსენებაში საუბარი იქნება რუსთავში მართლმადიდებლური ტაძრებისა და ეზოს სამლოცველოების მშენებლობის ტენდენციებზე, თუ როგორია საჯარო სივრცე დომინანტური და არადომინანტური რელიგიური ჯგუფებისათვის და როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ეს პროცესი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. რუსთავში პირველი ეკლესიის მშენებლობის მოთხოვნისა და ხელმონერების მოგროვების პარალელური პროცესები რუსთავის სამოქალაქო საზოგადოების მობილიზებისა და მათი აქტიურობის გამოვლენის საგულისხმო მაგალითებს ქმნის.

მოხსენებაში საჯარო სივრცეებში რელიგიურობის გამოვლინების განსაკუთრებულ შემთხვევად ეზოს სამლოცველოების მონყობასა და მათზე კოლექტიური მზრუნველობის გამოვლინების ფორმებს განვი-

ხილავ. ეზოს სამლოცველოების მოწყობა იქცა დეინდუსტრიულ, პოსტათეისტურ ქალაქში სამოქალაქო მონაწილეობისა და თანამშრომლობის თავისებურ ფორმად. ეზოს სამლოცველოები სამეზობლო თემის ორგანიზების განსაკუთრებულ ფორმად ჩამოყალიბდა. რუსთავში ეზოს სამლოცველოებს რელიგიურ-რიტუალური დანიშნულება ნაკლებად მოეძებნება, მისი ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით. თუმცა კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიებზე ზრუნვა და მათი გასხვისებისგან დაცვა სამეზობლო თემების ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მცდელობა, რუსთავში რელიგიური სივრცეების გაგება პოსტსოციალისტურ ქალაქში სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებსა და სამეზობლო თემის ორგანიზებას დაუკავშირდეს.

ანა ქირია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰენადების აუცილებლობა პროკლეს მეტაფიზიკურ სისტემაში

წინამდებარე მოხსენების მიზანი პროკლეს (412-485 წწ.) მეტაფიზიკურ სისტემაში ჰენადების აუცილებლობის დამტკიცებაა, ერთი მხრივ, ზოგადნეოპლატონური მეტაფიზიკის ფუნდამენტური პრინციპების, მეორე მხრივ კი, კონკრეტულად, პროკლეს მეტაფიზიკის ამოსავალი რწმუნებების გათვალისწინებით. პროკლეს მეტაფიზიკური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად ჰენადები მიიჩნევა. ამ კუთხით, პროკლეს მიმართ ხშირად გამოითქმის არათანმიმდევრულობის ბრალდება. კრიტიკის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, „თეოლოგიის საფუძვლების“ პირველსავე პროპოზიციასში პროკლე ამტკიცებდა, რომ ყოველი სიმრავლე რაღაცნაირად ერთს ეზიარება, მოგვიანებით კი ერთის უზიარებლობაა აღიარებული. შემდეგი ლოგიკური პრობლემა ისაა, რომ ჰენადები ერთის წარმომადგენლები არიან, ისინი ზეარსებით სფეროს ეკუთვნიან და, ცხადია, ტრანსცენდენტობა-შეუმეცნებადობაც მიეწერებათ, ამის მიუხედავად, მათთან ზიარება დასაშვებია, მაშინ, როდესაც, მაგალითად, სული, რომელიც სინამდვილის იერარქიაში, ერთის სფეროსთან შედარებით, დაბალ პოზიციას იკავებს და შეუ-

მეცნებადობა არ მიეყენება, უზიარებელია. ჰენადების დაშვების ლოგიკური წინააღმდეგობის მხარდამჭერი თვალსაზრისების გაბათილება არცთუ ისე რთულია და მკვლევართა შორის არცთუ იშვიათად ხდება, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს პროკლესთან ჰენადების მეტაფიზიკური აუცილებლობის ახსნას. მკვლევართა ნაწილი პროკლეს მეტაფიზიკურ სისტემაში ჰენადების შემოყვანის მიზეზს უბრალო ანალოგიაში ხედავს და პროკლეს სისტემის მთლიან სტრუქტურას ჰენადების გარეშე არსებითად უფრო ნათლად მიიჩნევს. აქედან გამოდის, რომ ჰენადების დაშვება ცარიელი ფორმალიზმია და არანაირი ღრმა მეტაფიზიკური საფუძველი არ გააჩნია. ვფიქრობთ, შესაძლებელი უნდა იყოს საკითხის მეტი სიღრმისეული აუცილებლობით ახსნა, მით უფრო, რომ თავად პროკლე დარწმუნებულია: „*ხოგოჲც აჲ უნდა აიღო ეჲთი, უსხეუდო ჰიპოსტასებისა და საწყისებჲივი ჰენადების თეოჲიას ვეჲ გაექცევი (Procl. In Parm. 1048, 9-11).*“ წინამდებარე მოხსენება პროკლეს ამ დარწმუნებულობის გაშიფვრის მცდელობათა სერიისგან შედგება.

ნიკოლოზ შამუგია

კავკასიის უნივერსიტეტი

პოლ გოგენი და ანტიკური ხელოვნება

პოლ გოგენის შემოქმედება პირობითად შეიძლება ორ პერიოდს მივაკუთვნოთ: ერთია პოლინეზიაში გადასახლებამდელი პერიოდი, ხოლო მეორე – პოლინეზიაში გადასახლების შემდეგდროინდელი. მხატვრის წერილებიდან ჩანს, რომ მას სძულდა ცივილიზაცია და მისგან განთავისუფლებას ცდილობდა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, მას არ მოსწონდა ძველბერძნული ხელოვნება. სწორედ ამიტომ სწერდა მეგობარს: „მუდამ შეხედე სპარსულ ხელოვნებას, კამბოჯურსაც, ძალიან იშვიათად და სულ ოდნავ – ეგვიპტურს! ყველაზე დიდი შეცდომა ბერძნული ხელოვნებაა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ლამაზია იგი.“ გავიხსენოთ სხვა პასაჟიც: „პრიმიტიულ ხელოვნებაში მუდამ იპოვი სასიცოცხლო ძალას. როცა ეგვიპტურ ხელოვნებას ვსწავლობდი, გონებაში საღი იდგა მებადებოდა სხვა რაღაცის შესაქმნელად. ბერძნული ხელოვნება კი მძაგს, რადგან მიტოვებს სიკვდილის ბუნდოვან განცდას ხელახლა დაბადების იმედის გარეშე.“ ამ ფონზე უცნაურია,

მაგრამ ფაქტია: მხატვრის არაერთი შედეგრი სწორედ ანტიკური ხელოვნებით არის შთაგონებული. პოლინეზიაში გადასახლების შემდეგ გოგენი შემოქმედებით იმპულსებს ხშირად სწორედ ძველბერძნულ-რომაული ხელოვნებიდან იღებდა. მან ბრიტანეთის მუზეუმში აკროპოლისის მეტოპებისთვის გადაღებული რამდენიმე ფოტოც თან წაიღო გადასახლებაში. მისი არაერთი ნახატი ფიდიასის ქმნილებათა საფუძველზეა შექმნილი. ჩვენი თემის მიზანია, თვალი გადავავლოთ ამ უცნაურ ისტორიას: როგორ და რატომ იღებდა პართენონის ფრიზებისაგან შთაგონებას მხატვარი, რომელიც გმობდა ანტიკურ ხელოვნებას.

თამარ შარაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნება

ვახტანგ ორბელიანი თვით თანამედროვეთა მიერ რომანტიკოსად აღიარებული პოეტია, ხოლო ილია ჭავჭავაძის თქმით, ერთადერთი ქართველი რომანტიკოსი. საინტერესო ფაქტია, რატომ უწოდა ქართული ლიტერატურის ქემარტიმა შემფასებელმა და თავად ვახტანგ ორბელიანის პირველმა ბიოგრაფმა, ილია ჭავჭავაძემ, მას „ერთადერთი რომანტიკოსი“. ამის უკეთ გასააზრებლად განვიხილავთ ვახტანგ ორბელიანის როგორც ცხოვრებას, ასევე მის შემოქმედებას.

ვახტანგ ორბელიანის ცხოვრების წარმოსაჩენად ვეყრდნობით ილია ჭავჭავაძის ნარკვევს „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანისა“, რომელიც ორბელიანის ლექსების კრებულს შესავალ წერილად უძღვის. მას შემდეგ პოეტის ბიოგრაფია რაიმე კონკრეტული ფაქტებით არ შევსებულა. თანამედროვეთა მოგონებებიდან ვახტანგ ორბელიანი ყოველთვის ნახსენებია მის ძმასთან – ალექსანდრე ორბელიანთან – ერთად და მასზე გაკვრით არის საუბარი, თუმცა ყველგან ის მოიხსენიება საუკეთესო პოეტად.

ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის წარმოჩენის მიზნით გამოვიყენეთ მე-19 საუკუნის მემუარისტთა – დიმიტრი ყიფიანისა და იონა მეუნარგიას მოგონებებიც, განვიხილეთ მთლიანად მისი შემოქმედება, განვსაზღვრეთ თემატიკა, გამოვყავით

პოეტის შეხედულებანი პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე, აგრეთვე, მისი რელიგიისადმი დამოკიდებულება და ნააზრევი მხატვრული ცნობიერების შესახებ.

საბოლოოდ ვაყალიბებთ დასკვნას, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ ვახტანგ ორბელიანის ერთადერთ რომანტიკოსად აღიარებას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი: წარსულის იდეალიზაცია, ბუნების თემის წინ წამოწევა, სოციალური შეხედულებები და მორალი, პოეტის მეტყველების მაღალფარდოვნება და პოეზიის ელიტარულობის აღიარება, აღმოსავლურ ტრადიციათა უარყოფა, მის შემოქმედებაზე ვიქტორ ჰიუგოს გავლენა. სხვა რომანტიკოსთა შემოქმედებაში ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უფრო ზომიერი ინდივიდუალისტური გამოხატულება აქვს.

თამარ შინჯიაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით

საისტორიო წერილობით წყაროებში ფასდაუდებელი ცნობებია დაცული საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. მოხსენებების მიზანია დავადგინოთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XII-XVIII საუკუნეებში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.

დემოგრაფიული ცნობების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც ვადგენთ საქართველოში მცხოვრები ოჯახების რაოდენობას, ამის საფუძველზე კი, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობას. მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ყველაზე ზუსტ მონაცემებს მოსახლეობის აღწერები იძლევა. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 1254 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერაზე.

ნაშრომში განხილულია ქართველი ისტორიკოსებისა და დემოგრაფების შეხედულებები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს თბილისის მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტებას, გაანალიზებულია საქართვე-

ლოში საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების მიზეზები, მათ შორის ხაზგასმულია ტყვეთა ვაჭრობა და ლეკიანობა, მათ შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული დანაკარგები, მოსახლეობის დარღვეული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; ასევე განხილულია მდიდარი დემოგრაფიული მასალა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შესახებ, რომელთა შედეგები პირდაპირ აისახება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე.

ავტორის მიერ დადგენილია XII-XIII საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და რეალურად ესახება ის ფაქტი, რომ 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა 7 მილიონ კაცს უდრიდა. მოყვანილი აქვს შესაბამისი არგუმენტირებული განხილვა ისტორიულ-დემოგრაფიული კუთხით.

ავტორი ნაშრომში, გარდა „ქართლის ცხოვრებისა“, ეყრდნობა ქართველი ისტორიკოსების, გეოგრაფებისა და თანამედროვე დემოგრაფების მიერ დაწერილ სამეცნიერო ლიტერატურას.

ნინო ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

9 აპრილი როგორც პარადიგმული მოვლენა

ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველი წლების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი – 9 აპრილი. შესწავლილია, როგორ ყალიბდებოდა მისი, როგორც პარადიგმული მოვლენის, რეპრეზენტაცია, რომელშიც თავს იყრიდა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული მნიშვნელობები და კულტურული პრაქტიკა. ნაშრომი ემყარება ოფიციალური დოკუმენტების, სოციალური მედიისა და სხვა ტიპის ნარატივების ანალიზს, ემპირიული მასალა გააზრებულია კულტურული ტრავმის თეორიის ჩარჩოში.

პირველმა ემოციურმა რეაქციამ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიაზე – ტკივილის, აღშფოთების, რისხვის, მწუხარებისა და გლოვის გამოხატვამ – შესაძლებელი გახადა ტრავმის ამოთქმა, გასაყოველთაოება,

გაზიარება, დამნაშავის და მსხვერპლის განსაზღვრა. ამან სათავე დაუდო 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის, ნარატივის, რომელშიც გაერთიანდა ტრავმისა (შოკის, ტკივილის, უმწეობის, უსამართლობის, დაბნეულობის განცდა) და ტრიუმფის (სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა, ამალეობა, სახელოვან წინაპართა საქმის გაგრძელება, მამულისთვის თავგანწირვა) ელემენტები. კულტურულმა ნიმუშმა შექმნა ყველაზე მძიმე გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მინიჭებისა და მასთან გამკლავების საფუძველი და უზრუნველყო განგრძობადობა ტეხილის პირობებში.

დამახსოვრების პროცესში 9 აპრილმა, როგორც *ხეზონანსმა*, ერთმანეთს დაუკავშირა იმავე ადგილზე განვითარებული ადრინდელი მოვლენები; წინა გამოცდილებამ ხელი შეუწყო ახალი ტრავმის ჩამოყალიბებასა და განსაზღვრას; მეორე მხრივ, 1989 წლის 9 აპრილის კოლექტიური ტრავმა მომავალი ისტორიისა და მეხსიერების ათვლის წერტილად იქცა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დროს, „იმავე დროისა“ და „იმავე ადგილის“ მნემონიკური ხერხების გამოყენებით ხაზი გაესვა ისტორიულ განგრძობადობასა და დისკურსულ უწყვეტობას. ტრავმული ნარატივი ტრიუმფალური შინაარსით დაიტვირთა. ასე ჩამოყალიბდა 9 აპრილი, როგორც პარადიგმული მოვლენა, ხოლო რუსთაველის გამზირის ეს მონაკვეთი - როგორც პარადიგმული მნიშვნელობის მატარებელი სივრცე, სადაც გასული 30 წლის განმავლობაში იწერება საქართველოს ისტორია.

9 აპრილი აღმოჩნდა ის „სეისმური ისტორიული ხდომილება“, რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბებული კულტურული და სიმბოლური ჩარჩოები, „ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა“ და დიდი ხნით განსაზღვრა კოლექტიური მეხსიერება და იდენტობა.

მარიამ ჩხარტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროთა იდენტიფიკაციისათვის: „მოქცევაი ქართლისაი“

მოხსენება მიზნად ისახავს, განსაზღვროს გვანანტიკური პერიოდის სომხური ისტორიოგრაფიის დიდი წარმომადგენლის, მოსე ხორენელის თხზულების „სომხეთის ისტორიის“ მეორე წიგნის 86-ე თავის წყარო.

ეს თავი ეძღვნება ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას და ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს, რომელსაც ხორენელი ნუნეს სახელით მოიხსენიებს. თავის ბოლოში ისტორიკოსი აკეთებს დამოწმებას აგათანგელოსზე. აქედან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ამ თავისათვის ხორენელის წყარო არის აგათანგელოსი. მიუხედავად იმისა, რომ აგათანგელოსის ციკლის თხზულებათა არცერთ აქამდე ცნობილ რედაქციაში და არც მასთან ასოცირებულ რომელიმე ტექსტში წმიდა ნუნეს შესახებ მონაცემები არ გვაქვს. ივარაუდება, რომ ხორენელი იმონმებს აგათანგელოსის ჩვენამდე მოუღწეველ რედაქციას, რომელშიც იყო წმიდა ნუნეს შესახებ ინფორმაცია.

ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არგუმენტები იმის საჩვენებლად, რომ აღნიშნული თავის ძირითადი ნაწილის წყარო არის „მოქცევაი ქართლისაის“ პროტოგრაფიული რედაქცია.

რაც შეეხება აგათანგელოსის დამოწმებას განსახილველი თავის ბოლოში, ამ ფაქტის ახსნა შემდეგია: დამოწმება ეხება არა ხორენელის მთელ თხრობას წმიდა ნუნეს შესახებ, არამედ ამ თხრობის მხოლოდ ბოლო ფრაზას, კონკრეტულად კი იმ წინადადებას, სადაც ხორენელი საუბრობს წმიდა ნუნეს სამისიონერო მოღვაწეობის არეალის საზღვრებზე. ირკვევა, რომ ეს ფრაზა, მართლაც, ინსპირირებულია აგათანგელოსის თხზულებით, კერძოდ, მისი ცნობით წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალის საზღვრების შესახებ. საქმე ისაა, რომ აგათანგელოსის ცნობა წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალის საზღვრების შე-

სახებ ამავე დროს შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად არ უღვანია წმიდა გრიგოლს. ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება მივიჩნიოთ იმაზე ირით მინიშნებად, თუ სად იღვანა წმიდა ნუნემ. ეს ის ადგილებია, სადაც წმიდა გრიგოლი არ ყოფილა. ამ ლოგიკით, აგათანგელოსი, მართლაც, გამოდის წმიდა ნუნეს სამოღვაწეო არეალის საზღვრების შესახებ ხორენელის ინფორმაციის წყარო. სწორედ ესაა განსახილველი თავის ბოლოში აგათანგელოსის დამოწმების მიზეზი და არა ის, რომ 86-ე თავის ძირითადი ნაწილის წყარო ხორენელისათვის იყო აგათანგელოსი.

სოფიო ჩხატარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანის შესახებ

უკრაინული მწერლების ინტერესი აღმოსავლური ლიტერატურისა და კულტურის მიმართ ყოველთვის დიდი იყო. ცდილობდნენ როგორც ნაკითხვასა და შესწავლას, ისე მის თარგმნას მშობლიურ ენაზე. მეცხრამეტე საუკუნიდან იმატა კვლევებმა ორიენტალისტიკაში და ლიტერატურაცა და კრიტიკაც ვრცლად მოუთხრობდა მკითხველს აღმოსავლური სამყაროს შესახებ. უკრაინული ორიენტალისტიკის მიმართულებად ჩამოყალიბება აგათანგელ კრიმსკის სახელს უკავშირდება.

„ამირანდარეჯანიანი“, როგორც აღმოსავლური კულტურის ამსახველი ეპიკური ნაწარმოები, ბუნებრივია, უკრაინელი მწერლების ინტერესთა სფეროში მოექცა. 1990 წელს კიევში გამომცემლობა „დნიპრომ“ გამოსცა ვასილ მისიკის თარგმანები წიგნად „დასავლეთი და აღმოსავლეთი“, რომელშიც დაბეჭდილია „ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანი. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია: ომარ ხაიამის, ნიზამი განჯელის, უილიამ შექსპირის, ჯორჯ ბაირონის, პერსი ბიში შელის პოეზია.

„ამირანდარეჯანიანის“ თარგმნისას ვასილ მისიკს, დიდი ალბათობით, რუსული თარგმანით უნდა ეხელმძღვანელა. 1945 წელს უკვე არსებობდა „ამირანიანის“ რუსული თარგმანი შალვა ნუცუბიძის ავტორობით. აღსანიშნავია, რომ მისიკის ხარკოვში ყოფნის პერიოდი ემთხვევა ცნობილი მთარგმნელის, გიორგი ნამორაძის იქ ცხოვრების

პერიოდს. უდავოა, კონსულტაციას, ტექსტის თარგმნასთან დაკავშირებით, მასთან გაივლიდა უკრაინელი მწერალი.

ნაწარმოები მდიდარია ონომასტიკური ერთეულებითა და რეალიებით. ამირან დარეჯანის ძეს, როგორც მთავარ პერსონაჟს, ვასილ მისიკის თარგმანში სახელიც, სახეცა და ხასიათიც შენარჩუნებული აქვს. საინტერესოა უკრაინელი მთარგმნელის ინტერპრეტაციები ბალხეთისა და ბაყბაყდევის თარგმნისას, უსუპის, ყამარისა და ცამცუმის გადატანისას მშობლიურ ენაზე და ა.შ.

„ამირანდარეჯანიანის“, როგორც ქართული ფოლკლორის ნაწილის, თარგმნა მნიშვნელოვანი ფაქტია უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში, მისი თარგმანი კი იმსახურებს და საჭიროებს ღრმა შესწავლას.

ივანე წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

90-იანების ტრავმა, როგორც წარსულის გააზრების პარადიგმა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიამ გააცოცხლა, გამოითხოვა წარსულიდან, არის 1956 წლის 9 მარტი – იძულებითი დავიწყების შედეგად მიჩუმათებული ტრაგედია, რომელიც სწორედ რეპრესიული დავიწყების პოლიტიკის წყალობით ვერ ჩამოყალიბდა ტრავმად, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედიამ ის გააცოცხლა. დომინიკ ლაკაპრასა და პიოტრ შტომპკას მიხედვით, კოლექტიურ ტრავმაზე წერა აუცილებლად იწვევს ისტორიული ანალოგების მოხმობის საჭიროებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხშირია სხვა, უფრო ადრეული კოლექტიური ტრავმის გახსენება. ეს მუდმივი კავშირი ანმყოფსა და წარსულს შორის სწორედ მეხსიერების საფუძველზე იკვრება.

ადამიანი ბუნებით მთხრობელი არსებაა. თხრობა, აღწერასთან ერთად, ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუაზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და წარსულში მომხდარ მოვლენებს. ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორიაც (Neimeyer, 2006: 179). თუ მოვლენის შესახებ ტრავმული/ტრავმის ამსახველი ტექსტები არ შეიქმნა, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს იგი, კულტურულ/კოლექტიურ ტრავმად არ ჩამოყალიბდება, რადგან თანა-

მედროვე საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს არა წარსული თავის-თავად, არამედ წარსულის მოვლენათა რეპრეზენტაცია, რომელიც იქმნება, ვრცელდება და მიიღება სპეციფიკურ კულტურულ ჩარჩოში და პოლიტიკურ სიტუაციაში (Assmann and Shortt, 2012: 3-4). კულტურულ მეხსიერებაში დამკვიდრებულ კოლექტიურ ტრავმას შეუძლია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეასრულოს „ჩვენ“ ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილი მხატვრულ წარსული. ვნახოთ, როგორ აცოცხლებს და იბამს 9 აპრილი, როგორც პარადიგმული მოვლენა, წარსულში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს.

ქეთევან ხუციშვილი, როზეტა გუჯეჯიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი სინკრეტიზმის პრობლემის კვლევის სათავეებთან

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ტრადიციული ყოფისა და კულტურის თემატიკას. სხვა საკვლევ პრობლემებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა, წინ წამოწია სინკრეტიზმის კვლევის საკითხიც.

სინკრეტიზმის კვლევა რელიგიის ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა და ის განსაკუთრებით საყურადღებოა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეთნოსთა კულტურის ანალიზის დროს. ბუნებრივია, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ეთნიკური კულტურის წიაღში არსებობდა რამდენიმე რელიგიური სისტემა, რომელთა ათვალასაც ვინცებთ არქაული მსოფლხედვიდან და მოვყვებით ჩვენს დრომდე. შესაბამისად, ეთნოგრაფიული მასალის დეტალური ანალიზი ავლენს ქართველთა რწმენა-წარმოდგენათა ფორმირების ეტაპებსა და ეპოქალურ ცვლილებათა დინამიკას.

ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართველთა ტრადიციულ რელიგიურ კულტურაში გარკვევით იკითხება რელიგიურ სისტემათა შერე-

ვისა და ტრანსფორმაციის ელემენტები. მეცნიერი აანალიზებს ქართველთა წარმართობის (ანუ ქრისტიანობამდელი რელიგიის) არსს არსებული წყაროების საფუძველზე, აღადგენს ქართველთა არქაულ ღვთაებათა პანთეონს და უძველეს რწმენა-წარმოდგენათა ანარეკლს აფიქსირებს მეოცე საუკუნის დასაწყისის ყოფაშიც და კონკრეტული ფაქტების განზოგადებით მსჯელობს არქაული კულტურის ქართული ნაირსახეობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ივანე ჯავახიშვილის დასკვნები არ არის კატეგორიული, ის ყოველთვის უშვებს ეთნოგრაფიული ფაქტის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მაგალითად, ლამპრობის ხალხურ ტრადიციას ივანე ჯავახიშვილი სინკრეტულ რიტუალად მიიჩნევს, უკავშირებს ამ ტრადიციას მთვარის კულტს და, ამავე დროს, ავლენს მის ქრისტიანულ არსსაც – აანალიზებს რა საისტორიო წყაროებს და მოგვითხრობს, რომ „ლამპრა“ იყო ქრისტიანული დღესასწაულის მირქმის/მიგებების ძველი ქართული სახელი; ან, მსჯელობს რა აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა ყოფაში არსებული ღვთაების – კვირიას შესახებ, ღვთაების სახელს ხსნის ძველი ბერძნული ლექსიკით, როგორც უფლის დღეს, უფლისადმი მიძღვნილ დღესასწაულს და სხვ. უაღრესად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები სვანურ ხალხურ დღეობათა ხანდაზმულობისა და მათში არქაული, ანტიკური ხანისა და შემდგომ უკვე ქრისტიანული რელიგიის გავლენით წარმოქმნილი რწმენა-წარმოდგენების შესახებ და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის მიდგომა სინკრეტულობის კვლევის პრობლემისადმი აქტუალურია ჩვენს დროშიც, როდესაც ამ მოვლენის კვლევა ახალი გამოწვევების წინაშეა, მიმდინარეობს ახალი კონცეპტების შემუშავება-დამკვიდრება და ფართოვდება მეთოდოლოგიური მიდგომებიც.

ზურაბ ხონელიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნაციონალური უნივერსიტეტები ევროპაში და
ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო პარადიგმა**

მართალია, ევროპის პირველ უნივერსიტეტებად ბოლონიის (1088) ან პარიზის (XII ს.) უნივერსიტეტებს, ზოგჯერ მანგანის აკადემიასაც (855//1054) მიიჩნევენ, მაგრამ „ნაციონალური უნივერსიტეტი ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება და სიმბოლურ თარიღად 1810 წელი – ბერლინის უნივერსიტეტის დაარსება უნდა მივიჩნიოთ.

ნაციონალური უნივერსიტეტი გულისხმობს ნაციონალური კულტურისა და ნაციონალური განათლების კონცეპტებს. რადგან „ნაციონალური კანონის ცენტრს, ძირითადად, ლიტერატურა და ფილოსოფია აყალიბებს, XIX საუკუნის გერმანიაში კანონის ცენტრი ფილოსოფია იყო, ხოლო ინგლისში – ლიტერატურა, ინგლისური უნივერსიტეტის კონცეფცია ლიტერატორმა *მეთიუ ახნოღმა* განსაზღვრა, ხოლო გერმანულისა – ენათმეცნიერმა და ფილოსოფოსმა *ვიდჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა*. ამის საფუძველზე, XIX საუკუნის ევროპაში გერმანული უნივერსიტეტი ფილოსოფიაზე, ხოლო ინგლისში – ლიტერატურაზე ორიენტირებული ჩამოყალიბდა.

ნაციონალური ტიპის უნივერსიტეტებმა დასავლეთში II მსოფლიო ომის დასრულებამდე იარსებეს, შემდეგ იწყება ამ ტიპის უნივერსიტეტების კრიზისი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან გახდა და რასაც ბილ რიდინგსმა უნივერსიტეტის ნანგრევები უწოდა. კრიზისი მთავრდება უნივერსიტეტის ახალი ტიპის გამოკვეთით, რომელსაც შეიძლება პოსტნაციონალური უნივერსიტეტი ვუწოდოთ და მიაჩნიათ, რომ დასავლეთში, უნივერსიტეტის ეს ტიპი, ფაქტობრივად, საბოლოოდ ჩამოყალიბდა. განვითარების ამ ხაზში სად არის ქართული უნივერსიტეტის ადგილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე საბჭოთა იდეოლოგიის ნაწილი იყო?

ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 103 წლის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ, თუ რას დაეფუძნა ჩვენი საუნივერსიტეტო პარადიგმა. თუ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ეს განსაზღვრა *ფილოსოფოსმა ვიდჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა* და *ინგლისში ლიტერატორმა მეთიუ ახნოღმა*,

ნაციონალური ქართული უნივერსიტეტის კონცეფციას საფუძველი ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვიდმა ჩაუყარა. ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა ფილოლოგთა წრეში გაჩნდა და მისი განხორციელება ისტორიკოსმა ითავა, რამ განაპირობა ეს ფაქტი? ჩვენი აზრით, პასუხი ერთია: რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ – საქართველოს სახელმწიფოს, კულტურისა და ისტორიის ხელაღებით უარყოფამ, უპატივცემულობამ და გარუსების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ. XIX ს-ის მეორე ნახევარში რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში „ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებისათვის, აგრეთვე, ერის ფსიქიკურ თავისებურებებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ისტორიის მნიშვნელობას გადაუჭარბებლად აფასებდნენ იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვები. ამ შეფასებას ჰქონდა მნიშვნელოვანი საყრდენი კონცეპტუალური თვალსაზრისითაც. შესაბამისად, ივ. ჯავახიშვილისეული საუნივერსიტეტო განათლების კონცეფციის პარადიგმა საქართველოს სახელმწიფო სამართლისა და კულტურის ისტორიას დაეფუძნა.

1930 წლის 7 ივლისს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. უნივერსიტეტი დაიშალა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად. მთელ საბჭოთა კავშირში გამოცხადდა ბრძოლა ე.წ. „კონდრატევიზმის“ წინააღმდეგ. ეს იყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასაიმედო მეცნიერებთან. 1930 წლის 13 დეკემბერს პედაგოგიური ინსტიტუტის (რომელიც უნივერსიტეტის განაყოფი იყო) რექტორმა ივანე ვაშაყმაძემ წამოიწყო ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის განქიქება სპეციალურად მოწვეულ საგანგებო სხდომაზე (ასეთი სხდომა სამჯერ გაიმართა – 13, 14 და 17 დეკემბერს). საბოლოოდ, 1931 წლის 28 მაისს, განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით, ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. 1933 წელს უნივერსიტეტი აღდგა და ივ. ჯავახიშვილიც დააბრუნეს, მაგრამ 1936 წლიდან დაიწყო ივანე ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელიც კარლო ორაგველიძის რექტორობის პერიოდს მოიცავს.

1936 წლის 23 მარტს გამართულმა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომამ მოისმინა კარლო ორაგველიძის მოხსენება, რომელშიც ავტორმა სტალინის, ჟდანოვისა და კიროვის, ასევე, სა-

კავშირო სახკომსაბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 27 იანვრის დადგენილების საფუძველზე „ამხილა“ ივ. ჯავახიშვილის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სკოლა“ და კიდევ ერთხელ მომზადდა ნიადაგი უნივერსიტეტიდან მისი დათხოვნისთვის, თუმცა პროლეტარიატის დიქტატურის იდეებით შეპყრობილმა საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს მაშინ ვერ განახორციელა.

ვფიქრობთ, ეს არ იყო მხოლოდ ივანე ჯავახიშვილისა და მისი შრომების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს იყო თავისუფალი სივრცის – საუნივერსიტეტო განათლების მოსპობის მცდელობა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, ანუ 1928 წლიდან მოყოლებული, უნივერსიტეტის ყველა რექტორი (თევდორე ღლონტი, მალაქია ტოროშელიძე, ივანე ვაშაყმაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, ლევან აღნიაშვილი, კარლო ორაგველიძე) ვიდრე დავით ყიფშიძემდე, დახვრიტეს 1937–1938 წლებში, მათ შორის თვით ივანე ვაშაყმაძე და კარლო ორაგველიძე.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილი და მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი, რომლის კონცეფცია რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი რუსეთის იმპერიის მემკვიდრე და ბოლშევიკური მსოფლმხედველობის სახელმწიფო იყო.

ამის მიუხედავად, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში, საბჭოთა რუსეთმა ვერ შეძლო ქართული უნივერსიტეტის ბოლშევიზმის მარწეხებში მოქცევა. როგორც აღინიშნა, იყო მისი გაუქმების მცდელობაც. 30-იანი წლების ტერორის მიუხედავად, უნივერსიტეტმა შეძლო ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული საერთო კონცეფციის შენარჩუნება: სწორედ ამან განაპირობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათეული წლების განმავლობაში არა მხოლოდ ქართული განათლებისა და მეცნიერების, არამედ ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ფლაგმანადაც გვევლინებოდა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა იდეოლოგიამ გავლენა მოახდინა ქართული უნივერსიტეტის ცალკეული დარგების განვითარებაზე, ამოაგდო ის ბუნებრივი განვითარების კონცეპტიდან, მაგრამ, რადგან საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემაც, გარკვეულწილად, განათლების პრუსიულ მოდეულს ეფუძნებოდა, ქართულმა უნივერსიტეტმა

მძაფრი იდეოლოგიური ზენოლის პირობებში შეძლო ნაციონალური სახის შენარჩუნება. ცხადია, დასავლეთის ნაციონალური უნივერსიტეტების მსგავსად, ქართულ უნივერსიტეტებშიც უნდა დამდგარიყო პოსტნაციონალური კრიზისი, თუმცა ეს შედარებით უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე ევროპაში.

ქართული ნაციონალური უნივერსიტეტების კრიზისი ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა და დღემდე გრძელდება. კრიზისის დაძლევის მიზნით გადაიდგა ბევრი სასარგებლო ნაბიჯი: ბოლონის პროცესთან მიერთება, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემოღება, საერთაშორისო პროექტებში, განსაკუთრებით ინსტიტუციური განვითარების პროექტებში, ჩართულობის გაზრდა, დასავლეთის პოსტნაციონალურ უნივერსიტეტებთან ალიანსი და ა.შ. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, ქართული უნივერსიტეტების კრიზისი ჯერ კიდევ დაძლეული არ არის. ასეთ ვითარებაში საჭიროა ახალი კონცეფცია, ახალი ხედვა და სტრატეგია ქართული საუნივერსიტეტო სივრცისა და საგანმანათლებლო სისტემის სიცოცხლისუნარიანობის გასახანგრძლივებლად. ამ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მექანიზმი შესაძლოა, გახდეს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ფორმატი.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიკვდილის ზეიმი ფლორენციაში. 1348 წლის პანდემია ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ მიხედვით

კაცობრიობის განვითარების ისტორიას ომებთან ერთად მუდმივად თან სდევდა ეპიდემიები და პანდემიები, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ანადგურებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად სწორედ ასეთი უბედურება ხდებოდა შედეგების შექმნის მიზეზი. ასე მაგალითად, ჯოვანი ბოკაჩომრთავისი ცნობილი ნაწარმოები „დეკამერონი“ 1348 წელს ფლორენციაში გაჩენილი შავი ქირის პანდემიის დროს დაწერა, რომელმაც მოსახლეობის 2/3 შეიწირა, მათ შორის ბო-

კაჩოს მამაც; უილიამ შექსპირის პიესები „მეფე ლირი“, „მაკბეტი“ და „ანტონიო და კლეოპატრა“ 1606 წელს ლონდონში გაჩენილი შავი ქირის დროს დაინერა; ისააკ ნიუტონის გენიალური აღმოჩენებიც შავი ქირის ეპიდემიის დროს უკავშირდება; მერი შელის ცნობილი რომანი „ფრანკენშტაინი“ 1816 წლის გლობალური გამყინვარების პერიოდში დაინერა... XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი მალთუსი კაცობრიობის ნაწილის გადარჩენის გზას პანდემიებსა და ომებში ხედავდა. გავრცელებული აზრით კი, შავი ქირის ეპიდემია ომის, ძალმომრეობისა და მასთან ბრძოლის ალეგორიაა.

ჩემი მოხსენების თემად, დღევანდელ მსოფლიოში არსებული კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, ფლორენციაში 1348 წლის სიკვდილის ზეიმი შევარჩიე; შავი ქირის ეპიდემიის საშინელების ასეთი სრულყოფილი, მკაფიო და დამაჯერებელი ასახვა არც ერთ მათიანეში და არც ერთ ისტორიულ წყაროში ისეთი სიძლიერით არ ყოფილა წარმოდგენილი, როგორც ეს ბოკაჩომ ასახა „დეკამერონში“, ამიტომაც მას ხშირად წყაროდ იყენებენ. თავზარდაცემული ხალხი, მათ შორის ბოკაჩოც და პეტრარკაც, ეპიდემიას ღვთის რისხვად მიიჩნევდა, რადგან ადამიანები იმდენად იყვნენ დაკავებული ვაჭრობითა და ამქვეყნიური ცხოვრების სიამტკბილობით, რომ ღმერთი დაავინწყდათ. ექვსი საუკუნის შემდეგ აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელი ალბერ კამიუ „შავ ქირს“ დაწერს და ბოკაჩოს აზრს გაიმეორებს. ბოკაჩომ „შავი სიკვდილი“ სიუჟეტად აირჩია არა როგორც მემათიანემ, არამედ როგორც ახალი დროის დიდმა პროზაიკოსმა და იტალიის თავზარდაცემულ და პანიკით მოცულ საზოგადოებას დაუპირისპირა პატარა ჯგუფი განათლებული ახალგაზრდებისა (ჰუმანისტების მსგავსად). ისინი თოთხმეტი დღის განმავლობაში ერთმანეთს უყვებიან სხვადასხვა ამბავს, სადაც რეალისტურად და სარკასტულადაა ასახული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენაში არსებული სოციალური და მორალური კონფლიქტები და, ამავე დროს, გაჟღენთილია სამოქალაქო ჰუმანიზმის მაღალი ღირებულებებით.

ისტორიკოსისათვის „დეკამერონი“ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ეს თხზულება ისტორიული ხასიათისაა და მასში ბოკაჩო ამბებს გადმოგვცემს როგორც შესანიშნავი ისტორიკოსი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან კარგად იცოდა არა მარტო იტალიის, არამედ ანტიკური და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაც. განსაკუთრებით ბევ-

რია მასში ფლორენციის შესახებ მასალები. ბოკაჩო, ხშირ შემთხვევაში, ობიექტურად აღწერს და მართებულად აფასებს ცნობილ ისტორიულ პირებს, მათ შორის: სალადინს, ოქროს ურდოს ყაენ უზბეკს, პაპ ბონიფაციუს მერვეს, რომის საღმრთო იმპერატორ ფრიდრიხ მეორეს, საფრანგეთის მეფე ფილიპ მეორეს და ა.შ., თუმცა, როგორც საერთოდ მწერლებს ახასიათებთ, მხატვრული ინტერპრეტაციით გადმოგვცემს ამა თუ იმ ისტორიულ ამბებს.



უნივერსიტეტის
გამომცემლობა